

ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში:

საქართველოში რძის პროდუქტების სექტორში კონკურენციის გაზრდის მიზნით დამატებული ღირებულების გადასახადისგან (დღგ-ისგან) გათავისუფლების გავლენის კვლევა

ნოემბერი 2019



GEORGIA SAFETY AND
QUALITY INVESTMENT
IN LIVESTOCK (SQIL)

ინვესტირება
უვნებელ და ხარისხიან
მესაქონლეობაში - საქართველო



**საქართველოში რძის პროდუქტების სექტორში კონკურენციის გაზრდის
მიზნით დამატებული ღირებულების გადასახადისგან (დღგ-ისგან)
გათავისუფლების გავლენის კვლევა**

SQIL-2019-PROC-0013

პროექტი - ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში

USDA Food for Progress 2018


www.landolakes.org

მომზადებულია:

ISSET

International School of Economics at TSU
Policy Institute

“ადნიშნული მასალა მომზადებულია აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, საგარეო სასოფლო-სამეურნეო სამსახურის მიერ გაცემული ფედერალური ჯილდოს FCC-114-2018/004-00 ფარგლებში. ნებისმიერი მოსაზრება, დასკვნა ან რეკომენდაცია, რომლებიც მოცემულია ამ პუბლიკაციაში, არის ავტორ(ებ)ის მოსაზრება და არ ასახავს აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის და ამერიკის მთავრობის შეხედულებას”.



სარჩევი

აბრევიატურები და აკრონიმები	6
მოკლე შეჯამება	7
1 შესავალი	8
1.1 პროექტის აღწერა	8
1.2 კვლევის მიზანი	9
1.3 მეთოდოლოგია	9
1.3.1 საოფისე კვლევა	9
1.3.2 სველე სამუშაოები	10
1.3.3 მონაცემთა ანალიზი და ანგარიშის სამუშაო ვერსიაზე მუშაობა	11
2 სექტორის ზოგადი მიმოხილვა	12
2.1 რძისა და რძის პროდუქტების მოხმარება	14
2.2 რძის პროდუქტების სავაჭრო ბალანსი	15
2.3 რძის გადამამუშავება	17
2.4 რეგულაციები საქართველოს რძის პროდუქტების რექტორში	20
3 პოლიტიკის კონტექსტი	21
3.1 კანონპროექტის მიზნები	22
3.2 დამატებული ღირებულების გადასახადი რძესა და რძის პროდუქტებზე	22
3.3 საერთაშორისო გამოცდილება	26
3.4 პრობლემის განსაზღვრება	28
3.5 რძის პროდუქტების სექტორში არსებული შეზღუდვები	30
4 დღ-ისგან გათავისუფლების ეკონომიკური ეფექტი	31
4.1 თეორიული საფუძველი	31
4.2 მონაცემები	33
4.3 გამოთვლა-შეფასებების სტრატეგია	35
4.4 შედეგები	35
5 ნედლეული/გამოშვების თანაფარდობა რძის პროდუქტებისთვის	36
6 საქართველოში რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა დამოკიდებულება და შეხედულებები დღ-ისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით	39
7 დასკვნები და რეკომენდაციები	42
8 ბიბლიოგრაფია	45
9 დანართი	46
დანართი 1. დარგის წარმომადგენლები, რომლებთანაც ჩატარდა ინტერვიუ	46
დანართი 2: მონაცემები რძის ფასების შესახებ	47
დანართი 3. შეფასების სტრატეგია დეტალებში	47

გრაფიკი 1: რძის მოთხოვნა და მიწოდება საქართველოში (მლნ EqI).....	13
გრაფიკი 2: რძის პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის ღირებულება და სავაჭრო ბალანსი საქართველოში.....	16
გრაფიკი 3: იმპორტირებულ რძესა და რძის პროდუქტებზე გადახდილი დღგ-ის მოცულობა	17
გრაფიკი 4: საქართველოში მერძეულობის ღირებულებათა ჯაჭვის რაოდენობრივი აღწერა (ეყრდნობა 2017 წლის მონაცემებს)	18
გრაფიკი 5: დღგ აღგებლობრივი წარმოების ნედლი რძისგან წარმოებულ 1ლ შეფუთულ რძეზე	24
გრაფიკი 6: დღგ აღდგენილი რძისგან წარმოებულ 1ლ შეფუთულ რძეზე	24
გრაფიკი 7: ნედლი და აღდგენილი რძის ფასების შედარება	29
ცხრილი 1: გავლენა-ინტერესის მატრიცა.....	11
ცხრილი 2: რძის პროდუქტების მოხმარება საქართველოში	14
ცხრილი 3: იმპორტირებული რძე და რძის პროდუქტები (ტონა)	15
ცხრილი 4: იმპორტირებული რძე და რძის პროდუქტები (ტონა)	15
ცხრილი 5: რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაზე რეგისტრირებული ბიზნეს ოპერატორების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	19
ცხრილი 6: ბიზნეს სუბიექტების მიერ წარმოებული რძის პროდუქტები (ტონა)	19
ცხრილი 7: ბიუჯეტის დანაკარგების შეფასება (მლნ ლარი)	26
ცხრილი 8: რეგისტრირებული ბიზნესების მიერ წარმოებული რძის პროდუქტები (ათასი ტონა)	33
ცხრილი 9: ელასტიკურობის კოეფიციენტები.....	35
ცხრილი 10: დღგ-ისგან გათავისუფლების შეფასებები.....	36
ცხრილი 11: ნედლეული/გამომშვების ფასთა თანაფარდობა რძის პროდუქტებისთვის (სცენარი 1)	37
ცხრილი 12: ნედლეული/გამომშვების ფასთა თანაფარდობა რძის პროდუქტებისთვის (სცენარი 2)	38
ცხრილი 13: დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებზე მოსალოდნელი გავლენის შეფასება.....	42

აბრევიატურები და აკრონიმები

APC	მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება
CSO	საზოგადოებრივი ორგანიზაციები ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო
DCFTA	სივრცის შესახებ შეთანხმება
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
Eql	თხევადი რძის ეკვივალენტი
EU	ევროკავშირი
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FAOSTAT	FAO-ის კორპორაციული სტატისტიკური მონაცემთა ბაზა
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEL	ქართული ლარი
Geostat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
HH	შინამეურნეობა
HoReCa	სასტუმრო/რესტორანი/კაფე
IFAD	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
ISET	თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
ISET-PI	ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
კგ	კილოგრამი
გრ	გრამი
MPC	მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება
სეს	სურსათის ეროვნული სააგენტო
OECD	ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
RS	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური
საქრძე	საქართველოს რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია
SQIL	ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში - საქართველო
Trademap	ვაჭრობის სტატისტიკა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისთვის
UK	გაერთიანებული სამეფო
USD	აშშ დოლარი
USDA	ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი
დღგ	დამატებული ღირებულების გადასახადი

მოკლე შეჯამება

მეცხოველეობის სექტორი საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ქმნის რა სექტორის მთლიანი გამოშვების ნახევარზე მეტს. მართალია ფერმერული მეურნეობები მთელი ქვეყნის მასშტაბითაა გავრცელებული, მაგრამ საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე მეტი მთიანია, სადაც სოფლის მეურნეობა უპირატესად მეცხოველეობითაა წარმოდგენილი. ამ უკანასკნელმა, 2018 წელს ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მერძეეობა ქართული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებულ ქვესექტორს წარმოადგენს.

საქართველოში რძესა და რძის პროდუქტებზე მოთხოვნა მზარდია, მაგრამ ქვეყანაში რძის წარმოება ბოლო ათწლეულის მანძილზე თანდათან იკლებს და მზარდი დეფიციტი იმპორტირებული რძის ფხვნილის, რძის ნაღებისა (მაგ., კარაქი) და სხვა სახის რძის პროდუქტებით კომპენსირდება. შედეგად, რძის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ბოლო ათწლეულში განუწყვეტლივ მცირდებოდა და 2018 წელს 81% შეადგინა, მაშინ როცა 2009 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 92%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, საექსპორტო ბაზრებზე ქართულ პირუტყვზე მოთხოვნის ზრდამ ქვეყანაში შეამცირა საქონლის რაოდენობა და, შესაბამისად, რძის წარმოებაც.

მერძეეობის სექტორის გასაძლიერებლად, რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციამ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეგიდით, წარადგინა კანონპროექტი, რომლის მიზანია მერძეეობის სექტორის გაძლიერება ადგილობრივად წარმოებულ ნედლ რძეზე მოთხოვნის ზრდის გზით. კანონპროექტის მიხედვით ნედლი რძისა და ნედლი რძისგან წარმოებული პროდუქტების მთლიანი ღირებულებათა ჯაჭვი უნდა გათავისუფლდეს დღგ-ისგან. დღესდღეობით, დღგ-ისგან გათავისუფლებულია რძის პირველადი წარმოება, 2 ლიტრზე უფრო დიდი მოცულობის ბოთლში ჩამოსხმული ნედლი რძე და ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისგან დამზადებული ყველი. კანონპროექტი, ადგილობრივად წარმოებული ნედლი რძისა და ნედლი რძისგან წარმოებული რძეშუაპა პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლებით, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ადგილობრივი რძისა და რძის პროდუქტების წარმოებას.

კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოს მერძეეობის სექტორში კონკურენციის გასაზრდელად დარგის დღგ-ისგან გათავისუფლების პოტენციური გავლენის შეფასება. კვლევა მოიცავდა რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს, რათა შეეფასებინა რძის ადგილობრივი წარმოების დღგ-ისგან გათავისუფლების ფინანსური და ფისკალური ხარჯ-სარგებელი დღგ-სთან დაკავშირებული სხვადასხვა სცენარის პირობებში.

შეფასების მიხედვით, რძის პროდუქტებზე მოთხოვნაც (-0.30) და მიწოდებაც (+0.69) არაელასტიკურია, რაც გადასახადებით გამოწვეული დანაკარგის და, შესაბამისად, გადასახადების შემცირებით მიღებული სარგებლის სიმცირეს განაპირობებს. მოთხოვნა (-0.06) და მიწოდება (+0.16) არაელასტიკურია ნედლი რძის ბაზარზეც.

როგორც რძის, ისე რძის პროდუქტების ბაზრებზე ჭარბი მიწოდების აღმოსაფხვრელად მიმართულ ქმედებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რძის პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლება საბაზრო მოთხოვნა-მიწოდებას 3.4-3.4%-ით გაზრდის, ხოლო ფასს 11.0%-

ით შეამცირებს. მეორე მხრივ, ნედლ რძეზე ფასების 6.7%-იანი ზრდა შესაბამის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას 1%-ით გაზრდის.

გამოთვლების მიხედვით ირკვევა, რომ ღდგ-ისგან გათავისუფლება 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს შეამცირებდა დაახლოებით 9.5 მლნ. ლარით რაც ამავე წელს ღდგ-ით მიღებული ჯამური შემოსავლების (4.427 მლრდ ლარი) დაახლოებით 0.21%-ს, ხოლო მთლიანი საგადასახადო შემოსავლების (9.696 მლრდ ლარი) დაახლოებით 0.10%-ს შეადგენს. სანაცვლოდ, გაიზრდებოდა რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიათა და მომხმარებელთა დანაზოგები, რაც დააკომპენსირებდა სახელმწიფო ბიუჯეტის დანაკარგებს. თუმცა, ყველის მწარმოებელთა მდგომარეობა გაუარესდებოდა, რადგან ნედლი რძის ფასი გაიზრდებოდა, რაც პოტენციურად ყველის მომხმარებლებზეც უარყოფითად იმოქმედებდა.

კვლევამ ცხადყო, რომ მერძეულობის სექტორის მთავარი შემზღუდველი ფაქტორები უკავშირდება არა ნედლი რძის ფასებს (რომელიც უკვე საკმაოდ მაღალია საქართველოში), არამედ რძის დაბალ ხარისხს, თანამედროვე ცოდნის ნაკლებობას, და საქონლის დაბალ მწარმოებლურობას. ეს უკანასკნელი განპირობებულია ნედლეულის მაღალი ფასებით, ცხოველთა არასათანადო კვებით, მეწველი ძროხების დაბალი ნაყოფიერებით, პირუტყვის დაბალი გენეტიკური პოტენციალით, არაუფექტიანი აღწარმოების მენეჯმენტით და ლაქტაციის მოკლე პერიოდით. შესაბამისად, პოლიტიკის გამტარებლებმა ქვეყანაში ნედლი რძის წარმოების გაზრდის მიზნით უნდა გამოიყენონ უფრო კომპლექსური მიდგომა, რომელიც აღმოფხვრის რძის წარმოების შეზღუდვას ძირეულ ფაქტორებს.

1 შესავალი

1.1 პროექტის აღწერა

Land O'Lakes International Development ახორციელებს მოთხოვნაზე დაფუძნებულ ინოვაციურ პროექტს ინვესტირება ხარისხიან და უვნებელ მესაქონლეობაში - საქართველოში (SQIL), რათა გააუმჯობესოს საკვების უვნებლობა და ხარისხი საქართველოში რძის პროდუქტებისა და საქონლის ხორცის ღირებულებათა ჯაჭვში. პროექტი, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ (საკვები პროგრესისათვის ფარგლებში), მიზნად ისახავს შეამციროს დანაკარგები, აამაღლოს საკვების უვნებლობა და ხარისხი ფერმიდან სუფრამდე და გაზარდოს კონკურენცია, მწარმოებლურობა და ვაჭრობა საქართველოს რძის პროდუქტებისა და საქონლის ხორცის ბაზრებზე.

მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, რძის პროდუქტებისა და საქონლის ხორცის ბაზრებზე მეწარმეთა და კონკურენციის მხარდასაჭერად Land O'Lakes განახორციელებს ინტერვენციებს. SQIL-ის ინიციატივები აგრეთვე ეხმიანება ქალებისა და ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების გაუმჯობესებას და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადობის ზრდას. SQIL გამოიყენებს ურთიერთდაკავშირებულ შემდეგი 6 კომპონენტისგან შემდგარ ინტეგრირებულ მიდგომას:

- ბაზარზე წვდომის გაფართოვება;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების გაუმჯობესება;
- მოსავლის შემდგომი მოვლა-დაბინავების გაუმჯობესება;
- პროდუქტიულობის მატება;
- ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ამაღლება;
- შესაძლებლობების გაძლიერება სურსათის უვნებლობის პოლიტიკის განვითარების შესახებ ინფორმირებისთვის.

1.2 კვლევის მიზანი

კვლევა მიზნად ისახავს დღგ-ისგან გათავისუფლების პოტენციური გავლენის შეფასებას საქართველოს მერძეულობის სექტორში კონკურენციის ზრდის გზით. კვლევის ფარგლებში, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით, მომზადდა ფინანსური და ფისკალური ანალიზი, რძის ადგილობრივი წარმოების დღგ-ისგან გათავისუფლების სხვადასხვა სცენარის შესაბამისად. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, დღგ-ისგან გათავისუფლების პოლიტიკისთვის შემუშავდა რეკომენდაციები, რათა ამაღლდეს ადგილობრივი რძის პროდუქტების კონკურენტუნარიანობა.

1.3 მეთოდოლოგია

1.3.1 საოფისე კვლევა

SQIL-ის ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით, საქართველოს მერძეულობის სექტორში კონკურენციის ასამაღლებლად დამატებული ღირებულების გადასახადისგან (დღგ-ისგან) გათავისუფლებით მიღებული გავლენის კვლევის ჩატარების წინადადებაზე მოთხოვნის შესაბამისად, საკონსულტაციო ჯგუფმა შეიმუშავა დეტალური მეთოდოლოგია და სამოქმედო გეგმა. კვლევის აღნიშნული ფაზა მოიცავდა საპროექტო დოკუმენტაციისა და სამუშაო გეგმის განხილვას, არსებულ მონაცემებში სიცარიელების გამოვლენასა და ინფორმაციის მთავარი მომწოდებლების (მათ შორის, ასოციაციები, მწარმოებლები, ფერმერები და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული სხვა მნიშვნელოვანი დაინტერესებული პირები და სექტორული ან სახელმწიფო ინსტიტუტები) იდენტიფიცირებისათვის არსებული ინფორმაციის (ლიტერატურა და სტატისტიკა) მიმოხილვას. საოფისე კვლევაზე დაყრდნობით, დაიგეგმა სავსელე სამუშაოები, მათ შორის ინტერვიუები, რათა ათვისებულიყო რძის პროდუქტების საბაზრო სისტემის მთავარი ინფორმატორების რესურსი. აღნიშნულ ეტაპზე მომზადდა დარგის შესახებ ინფორმაციის მთავარი მომწოდებლებისთვის განკუთვნილი ინტერვიუს გზამკვლევი და კითხვარი.

1.3.2 საველე სამუშაოები

კვლევა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ კითხვებზე:

- რას ნიშნავს ეკონომიკური თვალსაზრისით დღგ-ისგან გათავისუფლება?
- რა არის დღგ-ისგან გათავისუფლების პოტენციური ხარისხობრივი და რაოდენობრივი ეფექტები?
- განსხვავდება თუ არა აღნიშნული ეფექტები რძის პროდუქტების რეგისტრირებული და დაურეგისტრირებული მწარმოებლებისათვის?
- ვინ მიიღებს სარგებელს დღგ-ისგან გათავისუფლებით?
- დაზარალებიან თუ არა მოწყვლადი ჯგუფები?
- რა კონკრეტულმა ფინანსურმა და ტექნიკურმა გამოწვევებმა შეიძლება იჩინოს თავი დღგ-ისგან გათავისუფლებისას?
- რა გზით უნდა გაათავისუფლონ კანონმდებლებმა დარგი დღგ-ისგან საიმისოდ, რომ ამაღლდეს საქართველოს რძის პროდუქტების სექტორის კონკურენტუნარიანობა და გაიზარდოს შესაბამისი ბაზრის საბაზრო ეფექტიანობა?
- როგორ შეუძლიათ კანონმდებლებს გააუმჯობესონ ნედლი რძის ქართველი მწარმოებლების (მერძევე ფერმერების) ფისკალური პოზიციონირება ეროვნულ დონეზე?

ჩამოთვლილ კითხვებზე უკეთ საპასუხოდ, კვლევაში გამოყენებულ იქნა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები, რათა შეფასებულიყო ქართული რძის პროდუქტების სექტორის დღგ-ისგან გათავისუფლების ეფექტები. შეგროვებული მონაცემები, სხვა დანარჩენთან ერთად, მოიცავდა შესაბამის დაინტერესებულ პირებთან ჩატარებულ სიდრმისეულ ინტერვიუებსაც.

ინტერვიუები მთავარ ინფორმატორებთან

სიდრმისეული ინტერვიუებისთვის, მკვლევრების ჯგუფმა გამოიყენა რძის პროდუქტების ბაზრის წარმომადგენლებზე უკვე ხელთარსებული- და პროექტ SQIL-ის ჯგუფის მოწოდებული საკონტაქტო ინფორმაცია. მონაცემთა ეფექტიანად შესაგროვებლად და შესაბამისი დაინტერესებული პირების შერჩევის მიზნით, მკვლევრებმა, **გავლენა-ინტერესის მატრიცაზე** (ცხრილი 1) დაყრდნობით, შეადგინეს დაინტერესებული მხარეების რუკა.

რძისა და რძის პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლების ხარჯ-სარგებლიანობის შესახებ უფრო სანდო ინფორმაციის მისაღებად, მკვლევრების ჯგუფმა შეაგროვა მეორეული ინფორმაცია ისეთი ოფიციალური წყაროებიდან, როგორებიცაა:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი);
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- საერთაშორისო პროექტები და პროგრამები;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- Trademap.org

ცხრილი 1: გავლენა-ინტერესის მატრიცა

მაღალი გავლენა, დაბალი ინტერესი	მაღალი გავლენა, მაღალი ინტერესი
დაკმაყოფილდეს საჭიროებები - იყვნენ კმაყოფილები	მნიშვნელოვანი დაინტერესებული პირები - მჭიდროდ მუშაობა 1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; 2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA); 3. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (SRCA);
დაბალი გავლენა, დაბალი ინტერესი	დაბალი გავლენა, მაღალი ინტერესი
ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი დაინტერესებული პირები - საჭიროებს მინიმალურ ძალისხმევას	გასათვალისწინებელია - იყვნენ ინფორმირებულნი 1. რძის პროდუქტების ინდუსტრიული ფერმები; 2. რძის პროდუქტების საწარმოები; 3. მერძვეთა ასოციაციები; 4. რძისა და რძის პროდუქტების მომხმარებლები და მომხმარებელთა ასოციაციები; 5. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ; 6. რძის ფხვნილისა და რძის პროდუქტების იმპორტიორები

1.3.3 მონაცემთა ანალიზი და ანგარიშის სამუშაო ვერსიაზე მუშაობა

საქართველოში რძის პროდუქტების ინდუსტრიის დღე-ისგან გათავისუფლების ეფექტების შესაფასებლად, მკვლევრების ჯგუფმა გამოიყენა რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ელემენტები. შეფასება მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

1. საბაზისო დონის განსაზღვრა, რაც გულისხმობს არსებული ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გაანალიზებას პოლიტიკისა და საკანონმდებლო კონტექსტის უკეთესად გასაგებად:
 - ხარისხთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის, რძისა და რძის პროდუქტების (ყველი, ხაჭო, მაწონი, არაჟანი, იოგურტი და სხვა) ღირებულებისა და ბაზრის წილის განხილვა;
2. პრობლემის (ზომა და გავრცელება) იდენტიფიცირება და დღე-ისგან გათავისუფლებასთან/დღე-ის შემცირებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტების

განხილვა, რათა ამადლდეს ადგილობრივად წარმოებული ნედლი რძის კონკურენტუნარიანობა;

3. ასოციაციების წარმომადგენლებთან და პარტნიორებთან, ფერმერებთან და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის სხვა მნიშვნელოვან დაინტერესებულ პირებთან, სექტორულ და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ინტერვიუების ჩატარება;
4. სექტორში პირველად წარმოებასთან და ნედლი რძის გადამუშავებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუების გზით;
5. საერთაშორისო პრაქტიკების განხილვისა და დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების თანხლებით, საქართველოში ამჟამად არსებული და შემოთავაზებული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში ფისკალური სცენარების იდენტიფიცირება;
6. დღგ-ისგან გათავისუფლების ეფექტების შეფასება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის მეთოდების გამოყენებით:
 - რეგრესიული ანალიზის დახმარებით ნედლ რძესა და რძის პროდუქტებზე მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობების კოეფიციენტების გამოთვლა;
 - ნედლი რძისა და რძის პროდუქტების ბაზრებზე ნაწილობრივი წონასწორობის ანალიზის გამოყენებით ახალი წონასწორობების გამოყვანა;
7. სხვადასხვა სცენარებით ნედლეული/გამომშვების ფასთა ფარდობების გამოთვლა, ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისა და აღდგენილი რძის ეფექტიანობის ურთიერთმესადარებლად;
8. ნედლი რძის ქართველ მწარმოებელთა (მერძვე ფერმერთა) ფისკალური პოზიციების გასაუმჯობესებლად ეროვნულ დონეზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

2 სექტორის ზოგადი მიმოხილვა


მეცხოველეობის სექტორი სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ქმნის რა სექტორის მთლიანი გამოშვების ნახევარზე მეტს. უფრო კონკრეტულად, 2018 წელს მესაქონლეობის სექტორზე მოდიოდა საქართველოს მშპ-ის დაახლოებით 4% (საქსტატი) და რძის წარმოება არის ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული ქვესექტორი. საქართველოს უკანასკნელი სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 235 ათასზე მეტ მეურნეობაში, მეწველი ძროხების საშუალო რაოდენობა 2.15-ს შეადგენს (საქსტატი, 2014). 2018 წელს კი, ქვეყანაში იყო 880 ათასი სული საქონელი, რომელთა დაახლოებით 60% მეწველ ძროხას წარმოადგენდა.

მერძვეობა საქართველოში შერეულია როგორც დაბლობის და მაღალმთიანი საძოვრების კომბინაციის არსებობის, ისე ექსტენსიური ფერმერობიდან ინტენსიფიკაციაზე გარდამავალი პროცესების გამო. IFAD-ის კვლევის (2018) მიხედვით, საქართველოში არსებობს მერძვეფერმების 4 ძირითადი კატეგორია: (1) დაბლობის ექსტენსიური ფერმები, (2) მაღალმთიანის ექსტენსიური ფერმები, (3) დაბლობის ნახევრად-ინტენსიური ფერმები და (4) ინდუსტრიული ფერმები. მიუხედავად იმისა, რომ ძროხების მწარმოებლურობა ინდუსტრიულ ფერმებში 6-ჯერ აღემატება (მერყეობს 7-დან 10 ათას ლიტრამდე, საშუალოდ 8.5 ათასი ლიტრი) ქვეყანაში არსებულ საშუალო მწარმოებლურობას (1500ლ), 2018 წელს საქართველოში ჯამურად

წარმოებული 555 მლნ ლიტრი რძიდან ინდუსტრიულ ფერმებზე მხოლოდ 20 მლნ ლიტრი¹ მოდიოდა, დანარჩენს კი ექსტენსიური ან ნახევრად-ექსტენსიური ფერმები აწარმოებდნენ. ძროხების საშუალო მწარმოებლობით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებს². ამასთანავე, რძის წარმოებას აქვს სეზონური ხასიათი - წლიურად წარმოებული რძის მესამედზე მეტი იწარმოება მე-2 კვარტალში, ხოლო მე-4 კვარტალში, როცა წარმოება ყველაზე მცირეა, იწარმოება მხოლოდ 1/6 ნაწილი.

საქართველოში რძესა და რძის პროდუქტებზე მოთხოვნა მზარდია, მაგრამ ქვეყანაში რძის წარმოება ბოლო ათწლეულის მანძილზე თანდათან იკლებს და მზარდი დეფიციტი იმპორტირებული რძის ფხვნილის, რძის ნაღებისა (მაგ., კარაქი) და სხვა სახის რძის პროდუქტებით კომპენსირდება (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1: რძის მოთხოვნა და მიწოდება საქართველოში (მლნ EqL)



წყარო: საქსტატი, 2019

შედეგად, რძის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ბოლო ათწლეულში განუწყვეტლივ მცირდებოდა და მისმა სიდიდემ 2018 წელს 81% შეადგინა, მაშინ როცა 2009 წლის

¹ შეფასებულია საქართველოს მერძვეთა ასოციაციის მიერ.

² FAOSTAT-ის მონაცემების მიხედვით, ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა 6,700 ლიტრს აღემატებოდა 2017 წელს ევროკავშირში, სადაც რუმინეთი ყველაზე ნაკლებპროდუქტიული (≈3,200ლ წელიწადში), დანია კი ყველაზე მეტად პროდუქტიული (≈9,700ლ წელიწადში) იყო. მსოფლიოს მასშტაბით უმაღლესი შედეგი დაფიქსირდა ისრაელსა (≈13,200ლ წელიწადში) და აშშ-ში (≈10,500ლ წელიწადში).

ანალოგიური სიდიდე 92%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, საექსპორტო ბაზრებზე ქართულ პირუტყვზე მოთხოვნის ზრდამ ქვეყანაში შეამცირა საქონლის რაოდენობა და, შესაბამისად, რძის წარმოებაც³.

2.1 რძისა და რძის პროდუქტების მოხმარება

ტრადიციულად, ქართველები რძის პროდუქტების მომხმარებლები არიან და 2018 წელს ერთმა ადამიანმა 178კგ ნედლი რძის ეკვივალენტი მოიხმარა (საქსტატი), მაგრამ ეს მაინც საგრძნობლად ჩამორჩება მოხმარების დონეს ევროკავშირში - 250კგ ერთ სულზე (FAOSTAT, 2017). საქსტატის შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის მონაცემებით, შინამეურნეობებში 2018 წელს მოხმარებულ რძის პროდუქტებში ლიდერობდნენ ყველი, მაწონი, რძე, კარაქი და არაჟანი, რომლებზეც მოდიოდა რძის პროდუქტების ჯამური მოხმარების 96% რძის ეკვივალენტის სკალაზე და 94% - რძის პროდუქტებზე დახარჯული თანხის მიხედვით. 2018 წელს საშუალო მომხმარებელმა საქართველოში მოიხმარა 30კგ რძის პროდუქტს (ცხრილი 2).

ცხრილი 2: რძის პროდუქტების მოხმარება საქართველოში

#	რძის პროდუქტები	წილი ნედლი რძის ეკვივალენტის მიხედვით	წილი შინამეურნეობის ხარჯებში	საშუალო მოხმარება ერთ სულზე
1	ყველა	55.7%	56.4%	12.4 კგ.
2	კარაქი	27.4%	17.3%	2.6 კგ.
3	არაჟანი	5.0%	6.0%	1.8 კგ.
4	რძე	4.2%	5.5%	4.7 ლ.
5	მაწონი	3.8%	9.2%	6.6 კგ.
6	ხაჭო	3.5%	3.1%	800 გრ.
7	შედუღებული რძე	0.2%	0.6%	200 გრ.
8	იოგურტი	0.1%	1.1%	200 გრ.
9	ნადუდი	0.1%	0.7%	300 გრ.
10	კეფირი	0.1%	0.2%	100 გრ.

წყარო: შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის მონაცემთა ბაზა 2018 წლის მონაცემები, საქსტატი.

იგივე კვლევის მიხედვით, 2017 წელს რძესა და რძის პროდუქტებზე დახარჯული თანხის წილმა შინამეურნეობების ჯამურ ყოველთვიურ ხარჯებში 8.5%-იან ნიშნულს მიაღწია. თუ გავითვალისწინებთ, რომ შინამეურნეობების ხარჯების 31%-ს საკვებზე გაწეული ხარჯები შეადგენს, მივიღებთ, რომ შინამეურნეობის მიერ დახარჯული ყოველი 100 ლარიდან 2.50 ლარს რძის პროდუქტებზე ხარჯავენ. უცნაურია, მაგრამ რძის პროდუქტების მოხმარების მხოლოდ 19% მოდის შინ, სახლში მოხმარებაზე, ხოლო დანარჩენი მოიხმარება სახლის გარეთ, HoReCa სექტორში საქართველოს რეზიდენტების ან ტურისტების მიერ. უხეში შეფასებით,

³ იხ.: <http://iset-pi.ge/index.php/en/iset-economist-blog-2/entry/we-don-t-need-no-regulation-on-georgia-s-dairy-and-livestock-sector>

საქართველოში რძის პროდუქტების ბაზრის ჯამური ღირებულება დაახლოებით 1 მლრდ ლარს შეადგენს (ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2019).

2.2 რძის პროდუქტების სავაჭრო ბალანსი

საქართველო, რძისა და რძის პროდუქტების მზარდი მოხმარების პირობებში, წარმოადგენს რძისა და რძის პროდუქტების წმინდა იმპორტიორს, რომლის დეფიციტიც 2018 წელს 130 მლნ ნედლი რძის ეკვივალენტს უდრიდა და 65 მლნ აშშ დოლარად (CIF ფასი) იყო შეფასებული. რძის მთავარი იმპორტირებული პროდუქტები, რაოდენობრივი თვალსაზრისით, არის რძის ფხვნილი, რძე, კარაქი, იოგურტი და ყველი (ცხრილი 3).

ცხრილი 3: იმპორტირებული რძე და რძის პროდუქტები (ტონა)

პროდუქტი / წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რძე	909	961	810	1,319	1,380	1,891	2,397	2,682	3,491	4,798
არაჟანი	-	-	-	180	218	241	279	340	385	481
რძის ფხვნილი, ცხიმგაცილილი	3,228	3,471	3,652	3,771	4,257	4,979	6,227	8,334	9,957	8,292
რძის ფხვნილი, ცხიმით	502	406	389	389	326	257	329	125	414	295
შედუღებული რძე	2,799	1,973	1,969	1,974	1,845	2,054	2,238	2,160	2,187	2,254
იოგურტი	155	381	561	812	1,422	1,812	2,352	2,265	2,965	3,346
კეფირი	1,040	1,106	948	1,065	1,273	1,300	1,162	1,395	1,454	1,884
რძის შრავი	536	530	735	754	1,050	1,010	678	967	824	518
კარაქი	2,041	1,680	1,452	1,852	2,204	2,387	3,264	4,763	4,057	4,694
ყველი	490	782	882	1,079	1,456	1,651	1,907	2,091	2,560	2,740

წყარო: trademap, 2019.

ხოლო რაც შეეხება საქართველოდან რძისა და რძის პროდუქტების ექსპორტს ან რეექსპორტს, მათი მოცულობა მიზერულია. მაგალითად, 2018 წელს, საქართველოდან ჯამურად (რე)ექსპორტირებული კარაქის⁴, რძის ფხვნილისა⁵ და იოგურტის⁶ რაოდენობამ 347 ტონა შეადგინა, ხოლო ყველის ექსპორტის მოცულობა 42 ტონას უდრიდა⁷ (ცხრილი 4).

ცხრილი 4: იმპორტირებული რძე და რძის პროდუქტები (ტონა)

პროდუქტი / წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რძე	5	21	8	-	-	-	-	-	-	-
არაჟანი	-	-	-	-	-	-	-	-	4	-

⁴ სომხეთსა (193 ტონა) და აზერბაიჯანში (12 ტონა).

⁵ სომხეთსა (124 ტონა) და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში (11 ტონა).

⁶ სომხეთსა (4 ტონა) და აზერბაიჯანში (3 ტონა).


⁷ აშშ-ში (289 ტონა), სომხეთსა (54 ტონა) და ჰონგ-კონგში, ჩინეთი (6 ტონა).

რძის ფხვნილი, ცხიმგაცილილი	-	107	226	90	554	20	122	40	610	135
რძის ფხვნილი, ცხიმით	3	21	44	1	35	46	81	-	250	-
შედულებული რძე	-	5	-	28	46	38	43	-	3	-
იოგურტი	-	122	24	-	-	-	-	-	-	7
კეფირი	7	111	21	-	-	-	-	-	-	-
რძის შრატის	-	10	-	-	420	120	-	-	-	-
კარაქი	56	306	99	146	215	407	220	153	129	205
ყველი	5	53	24	29	10	2	5	10	103	42

წყარო: trademap, 2019.

შედეგად, საქართველოს რძის პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობაში აქვს დეფიციტი, რომელიც ბოლო ათწლეულის მანძილზე იზრდება. აღნიშნულმა დეფიციტმა 2018 წელს –63.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (გრაფიკი 2).


გრაფიკი 2: რძის პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის დირეზულება და სავაჭრო ბალანსი საქართველოში



წყარო: trademap, 2019.

იმპორტირებული რძის პროდუქტები დღე-ით იბეგრება. შესაბამისად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმპორტირებულ რძის პროდუქტებზე გადახდილი დღგ-ის მოცულობა თანდათან იზრდება და ამ თანხამ 2018 წელს დაახლოებით 30 მლნ ლარი შეადგინა (2014 წლიდან ზრდის ტემპი ქართული ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურებამაც დააჩქარა, როგორც ნაჩვენებია გრაფიკ 3-ზე).

გრაფიკი 3: იმპორტირებულ რძესა და რძის პროდუქტებზე გადახდილი დღგ-ის მოცულობა




წყარო: მკვლევრების ჯგუფის გამოთვლები, რომლებიც ეყრდნობა იმპორტისა (trademap.org) და საშუალოწლიური გაცვლითი კურსის (სებ) მონაცემებს

2.3 რძის გადამუშავება

რძის გადამუშავებით შეიძლება მრავალი სხვადასხვა პროდუქტის მიღება. IFAD-ის კვლევის (2018) მიხედვით, გამოვლინდა რძის გადამამუშავებელთა 3 ტიპი: (1) გადამამუშავებლები სახლის პირობებში, (2) საშუალო სიდიდის გადამამუშავებლები და (3) ინდუსტრიული გადამამუშავებლები. საქართველოში მოხმარებული ნედლი რძის ეკვივალენტის 2/3 ნაწილი და ქვეყანაში წარმოებული რძის 80%-ზე მეტის გადამუშავება ხდება სახლის პირობებში, უმეტესწილად ე.წ. ოჯახის ყველად, ნაღულად, მაწვნად ან სხვა პროდუქტად. დანარჩენი რძე მიეწოდება რძის გადამამუშავებელ კომპანიებს ყველისა და რძის სხვა პროდუქტების საწარმოებლად. ზოგადად, არსებობს დღეში 10 ტონაზე ნაკლები სიმძლავრის, საშუალო ზომის გადამამუშავებელი ბევრი კომპანია, რომლებიც რძეს ადგილობრივი ფერმერებისგან აგროვებენ და ძირითადად აწარმოებენ ყველს. ბაზრის სხვა მნიშვნელოვან მოთამაშეთა ჯგუფს წარმოადგენენ დღიურად 10 ტონაზე მეტი სიმძლავრის მქონე ინდუსტრიული გადამამუშავებლები, რომლებზეც მოდის რძის მთლიანი მიწოდების 12%. ნედლი რძის გარდა, გადამამუშავებლები უმეტესწილად იყენებენ იმპორტირებულ რძის ფხვნილს, რძის ნაღებს/კარაქს და სხვა იმპორტირებულ მასალებს რძის პროდუქტების დამატებით დასამზადებლად (გრაფიკი 4).

გრაფიკი 4: საქართველოში მურძეულობის ღირებულებათა ჯაჭვის რაოდენობრივი აღწერა (ეყრდნობა 2017 წლის მონაცემებს)



წყარო: IFAD (2018).

ჯამურად წარმოებული რძის პროდუქტების დაახლოებით 17% (120 მლნ ნედლი რძის ეკვივალენტი) რძის პროდუქტის მწარმოებელ შინამეურნეობებშივე მოიხმარება, 58% (400 მლნ ნედლი რძის ეკვივალენტი) იყიდება სასოფლო ბაზრებსა და ბაზრობებზე და მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს საექსპორტო ბაზრებზე.

სეს-ის მონაცემებით, საქართველოში რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლებად რეგისტრირებული 360 ბიზნესიდან 82 (23%) რეგისტრირებულია როგორც მხოლოდ ყველის მწარმოებელი, 75 (21%) - როგორც რძის თერმულად დამამუშავებელი და 7 (2%) - როგორც კარაქის მწარმოებელი. ამავდროულად, რეგისტრირებულ ბიზნესთა უმეტესობას (54%) აქვს რძისა და რძის პროდუქტების დივერსიფიცირებული წარმოება და, შესაბამისად, რეგისტრირებულია რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლად (სეს, 2019). რეგისტრირებულ პირთა უდიდესი რაოდენობა (75 ბიზნესი, ანუ 21.1%) თავმოყრილია თბილისში, კახეთსა (75 ბიზნესი, ანუ 20.8%) და ქვემო ქართლში (60 ბიზნესი, 16.7%) (ცხრილი 5).

ცხრილი 5: რძისა და რზის პროდუქტების წარმოებაზე რეგისტრირებული ბიზნეს ოპერატორების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა
აჭარა	19
გურია	3
იმერეთი	21
კახეთი	75
ქვემო ქართლი	60
მცხეთა-მთიანეთი	26
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	22
სამცხე-ჯავახეთი	39
შიდა ქართლი	12
თბილისი	76
სულ	360

წყარო: სეს, 2019

Georgian Dairy-ის მონაცემებით (2017), ბიზნეს სუბიექტები აწარმოებენ ქვემოთ ჩამოთვლილ რძის პროდუქტებს მითითებული რაოდენობებით (ცხრილი 6).

ცხრილი 6: ბიზნეს სუბიექტების მიერ წარმოებული რძის პროდუქტები (ტონა)

პროდუქტი/წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რძე	6,628	6,695	6,763	6,831	6,900	7,900	6,400	6,900	6,969	7,039
კარაქი	2,629	3,024	3,478	4,000	4,600	5,600	6,900	6,500	7,348	8,308
ყველი	62	142	325	744	1,700	2,300	4,300	6,300	9,844	15,382
მაწონი	7,493	7,888	8,303	8,740	9,200	10,400	9,700	10,500	11,025	11,576
იოგურტი და სხვა ფერმენტირებული პროდუქტები	422	548	711	924	1,200	1,700	1,800	2,200	2,706	3,328
კეფირი	2,106	2,025	1,947	1,872	1,800	2,200	1,800	1,500	1,440	1,382
ნაღული	2,420	2,575	2,739	2,914	3,100	3,400	3,000	3,600	3,816	4,045
არაჟანი	3,879	4,171	4,485	4,822	8,300	8,700	8,900	10,100	10,807	11,563
რძე	6,628	6,695	6,763	6,831	6,900	7,900	6,400	6,900	6,969	7,039
კარაქი	2,629	3,024	3,478	4,000	4,600	5,600	6,900	6,500	7,348	8,308

წყარო: Georgian Dairy (2017). შენიშვნა: Georgian Dairy-ის კვლევიდან (2017) აღებულია 2013-2016 წლების მონაცემები, დანარჩენი კი წარმოდგენს, 2013-2016 წლების ზრდის გასაშუალოებულ ტემპებზე დაყრდნობით, მკვლევრების ჯგუფის მიერ განხორციელებულ გამოთვლებს.

თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული პროდუქტების რძის ეკვივალენტურ რაოდენობაში გარდაქმნის კოეფიციენტებს, მივიღებთ, რომ ბიზნეს ოპერატორები, სხვადასხვა სახის რძის პროდუქტის მისაღებად ყოველწლიურად ამუშავენ 250 მლნ (2016-2018 წლების საშუალო სიდიდე) ნელლი რძის ეკვივალენტზე მეტ რძეს. ნელლი რძის ეკვივალენტის მთლიანი რაოდენობის 2/3 ნაწილს რძის ნალებით (მაგ., კარაქი) ნორმალიზებული რძის ფხვნილს წარმოადგენდა, რძის სხვა პროდუქტების ინგრედიენტად დამატებით და მხოლოდ 1/3 ნაწილი იყო ადგილობრივი წარმოების ნელლი რძე (IFAD, 2018).

საქართველოს რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის (საქრძე) მონაცემებით, ინდუსტრიული გადამამუშავებლები ქვეყანაში წარმოდგენილია 6 საწარმოთი, რომლებიც დღიურად 10 ტონაზე მეტ რძეს გადამამუშავენ⁸. ყოველწლიური გადამამუშავება დაახლოებით 85 მლნ ნელლი რძის ეკვივალენტს უტოლდება, საიდანაც 60 მლნ ნელლი რძის ეკვივალენტი (70%) რძის ფხვნილისა და სხვა იმპორტირებული რძის პროდუქტების სახითაა წარმოდგენილი (IFAD, 2018). აღნიშნული გადამამუშავებლები აწარმოებენ რძის ისეთ პროდუქტებს, როგორებიცაა არაჟანი, მაწონი, ყველი, ხაჭო, შეფუთული რძე, იოგურტი, კეფირი და სხვა. სწორედ ესენი არიან ის საწარმოები, რომლებსაც შეუძლიათ სარგებელი მიიღონ ქართული ნელლი რძისგან წარმოებული რძის პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლებით⁹. ყოველწლიურად საქართველოში 15-25 მლნ ლიტრი ნელლი რძისგან, ანუ რძის ინდუსტრიულ საწარმოებში ჯამურად გადამამუშავებული რძის 20-30%-ისგან, იწარმოება მსგავსი სახის პროდუქტები.

2.4 რეგულაციები საქართველოს რძის პროდუქტების რექტორში

2015 წელს, საქართველოს მთავრობამ, რძის პროდუქტების სექტორის რეგულირებისა და რძისა და რძის პროდუქტების უვნებლობის მიზნით, მიიღო რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტი. რეგლამენტის მთავარი მიზანია მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ნელლი რძის, ნალების, რძემჟავის, კარაქის, ყველის, ყველის ნაწარმისა და რძის სხვა პროდუქტის წარმოებისა და დისტრიბუციის რეგულირება. გარდა ამისა, რეგლამენტი იძლევა რძისა და რძის პროდუქტების სიდრმისეულ განმარტებას. 2017 წლის 1 ივლისს, ტექნიკურ რეგლამენტში რძის პროდუქტებთან დაკავშირებით შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც რძის ფხვნილისგან წარმოებული პროდუქტებისთვის აიკრძალა ტერმინი „ყველის“ გამოყენება. მსგავსად რეგულირდება ტერმინი „კარაქიც“, რომლის გამოყენება იკრძალება, თუ პროდუქტის წარმოებაში გამოყენებული იქნა მცენარეული ცხიმი, ან სხვა ცხიმი, გარდა რძისა. სხვა მნიშვნელოვანი რეგულაციები მოიცავს:

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი (2012);
- საქართველოს მთავრობის დეკრეტები:

⁸ სანტე, სოფლის ნობათი, ნატურალ+, მილკა, აგროჰაბი და წიფორა-სამცხე (ზაფხულის დროს).

⁹ გარდა ყველისა, რომელიც უკვე გათავისუფლებულია დღგ-ისგან.

- ✓ ზოგადი წესები სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის შესახებ - №173, 25.06.2010
- ✓ ცხოველური წარმოშობის საკვების ჰიგიენის სპეციალური რეგულაციები - №90, 7.03.2012
- ✓ სურსათისა და ცხოველების აგრარულ ბაზრებზე გაყიდვის წესები - №417, 31.12.2013
- ✓ ბიზნესოპერატორის აღიარების წესები №722, 26.12.2014
- ✓ პირუტყვის მიკვლევადობისა და რეგისტრაციის წესები - №764, 31.12.2014
- ✓ ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესები - №55, 12.02.2015
- ✓ იმპორტირებული და საქართველოში წარმოებული ვეტერინარული მედიკამენტების რეგისტრაციისა და სახელმწიფო კონტროლის პროცედურები - №327, 07.07.2015
- ✓ საკვების/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები მიკვლევადობის შესახებ - №577, 10.11.2015
- ✓ საკვების მიკრობიოლოგიური ინდიკატორების ტექნიკური რეგლამენტი - №581, 10.11.2015
- მინისტრების ბრძანებები სურსათის ხარისხისა და უვნებლობის სანიტარული წესებისა და ნორმების შესახებ.

2019 წლის მარტიდან ძალაში შევიდა მომხმარებლის ინფორმირებისთვის საკვების მარკირების ტექნიკური რეგლამენტი. აღნიშნული რეგლამენტით საკვების მარკირებაზე ვრცელდება დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა უფლებების დაცვას და მათი ცნობიერების ამაღლებას. რეგულაცია მიღებულ იქნა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან (DCFTA) საქართველოსთვის წარდგენილი იმ მოთხოვნების ფარგლებში, რომლებიც ეყრდნობა ევროკომისიის შემდეგ რეგულაციებს და დირექტივებს: №1169/2011, N1333/2008, 1332/2008, 1334/2008, 2006/114, 2913/92, 2002/46, 2009/39 (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, 2019).

3 პოლიტიკის კონტექსტი

გადასახადები და ბიზნეს გარემოს რეგულირება დიდ ზეგავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე, რადგან ისინი პირდაპირ მოქმედებენ კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. საქართველოს მერძევე ფერმებისა და ასოციაციების მიხედვით, მათთვის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არასამართლიანი კონკურენციაა, რაც დიდი რაოდენობის არარეგისტრირებული საოჯახო ფერმების (აწარმოებენ რძეს და რძის პროდუქტებს, მაგ., ყველს) არსებობითაა გამოწვეული. მიზეზი არის ის, რომ ეს ფერმები არ იხდიან დღგ-ს ან სხვა (მოგების, საშემოსავლო და ქონების) გადასახადებს. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული არარეგისტრირებული ფერმები რეგულარულად აწარმოებენ, ამუშავებენ და ყიდნიან რძის პროდუქტებს, მათზე ვერ ვრცელდება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რეგულაციები, რადგან არარეგისტრირებული ფერმები სეს-ის კონტროლს მიღმა არიან. შესაბამისად, მსგავს „ფერმებს“, რეგისტრირებულ ფერმებთან და მეწარმეებთან შედარებით,

აქვთ დაბალი საოპერაციო და წარმოების ხარჯები და პროდუქტების გაყიდვაც შედარებით დაბალ ფასად შეუძლიათ.

რძის დიდი ნაწილი საოჯახო მეურნეობებში იწარმოება და მხოლოდ 15 ფერმა ითვლება ინდუსტრიულ, ინტენსიურ მერძეულობის ფერმად, რომელსაც 2600 სულამდე მაღალმწარმოებლური საქონელი (ჰოლშტეინი ან შვიცი) ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის ფერმებში არსებული მაღალმწარმოებლური საქონლის წილი ქვეყანაში ჯამურად არსებულ საქონლის რაოდენობაში 1%-ზე ნაკლებია, მათზე (მაღალმწარმოებლურ საქონელზე) მოდის საქართველოში ჯამურად წარმოებული რძის 4%-ზე მეტი. ეს კი საქართველოში არსებულ საშუალო მწარმოებლურობაზე გაცილებით მაღალი მაჩვენებელია და ზრდის კიდევ უფრო დიდი პოტენციალი გააჩნია. მაგრამ, ინდუსტრიული ფერმების ასოციაციის განცხადებით, ზრდის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება, თუ დღგ-ისგან გათავისუფლების გზით საქართველოში რძის პროდუქტების ბაზარზე კონკურენცია არ გაიზრდება. სწორედ აღნიშნული გახდა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების მომზადების მთავარი მიზანი გასულ წელს, რის შემდეგაც პარლამენტმა ცვლილებები განიხილა ორჯერ - 2018 წლის შემოდგომასა და 2019 წლის გაზაფხულზე¹⁰. თუმცა, პარლამენტმა უარყო საკანონმდებლო ცვლილების ინიციატივა იმ არგუმენტით, რომ მერძეულობის სექტორისთვის მისი მოსალოდნელი სარგებელი არ იყო საკმარისად დასაბუთებული¹¹.

3.1 კანონპროექტის მიზნები

რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციებმა წარადგინეს კანონპროექტი, რომლის მიზანია ადგილობრივი წარმოების ნედლეულ რძეზე მოთხოვნის გაზრდით მერძეულობის სექტორის გაძლიერება. კანონპროექტის მიხედვით, დღგ-ისგან უნდა გათავისუფლდეს საკუთრივ ნედლი რძისგან დამზადებული პროდუქტების მთლიანი ღირებულებათა ჯაჭვი. ადგილობრივი წარმოების ნედლეულ რძეზე მოთხოვნის გაზრდით მერძეულობის სექტორის გასაძლიერებლად, დღესდღეობით, დღგ-ისგან გათავისუფლებულია რძის პირველადი წარმოება და მხოლოდ 2 ლიტრზე მეტი მოცულობის ბოთლებში (პაკეტებში) ჩამოსხმული ნედლი რძე და ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისგან დამზადებული ყველი. კანონპროექტის მთავარი მიზანია ადგილობრივ დონეზე რძისა და რძის პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, რძისა და ნედლი რძისგან წარმოებული რძემაჟაჟა პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლების გზით.

3.2 დამატებული ღირებულების გადასახადი რძესა და რძის პროდუქტებზე

დღგ (რომელსაც OECD-ის რიგ ქვეყნებში გადასახადი საქონელსა და მომსახურებებს აბრევიატურის, GST-ის სახელით მოიხსენიებენ) წარმოადგენს გადასახადს მოხმარებაზე,

¹⁰ იხ.: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4274299?publication=0>

¹¹ იხ.: <http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/agrul-sakitxta-komiteti/axali-ambebi-agraruli/agrul-sakitxta-komitetma-sagadasaxado-kodeqsshi-cvilebebs-mxari-ar-dauchira.page>

რომელსაც მთლიანად საბოლოო მომხმარებელი იხდის და ეს გადასახადი ვრცელდება თითქმის ყველა სახის კომერციულ საქმიანობაზე, რომელიც მოიცავს საქონლის ან სერვისის მიწოდებას (OECD, 2017). როგორც წესი, დღგ განისაზღვრება ფასის პროცენტული წილის მიხედვით და, შესაბამისად, საგადასახადო ტვირთი თავს იჩენს საქონლის წარმოებისა და გავრცელების თითოეულ ეტაპზე. დღგ გროვდება დანაწევრებულად, ნაწილობრივი გადასახადების სისტემის გზით: დღგ-ის გადამხდელები (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირები) მათ მიერ აკრეფილი დღგ-ისგან ითვლიან საკუთარი ბიზნეს აქტივობებისთვის განხორციელებული შენაძენებისას დღგ-ის სხვა გადამხდელთათვის მათ მიერვე გადახდილ დღგ-ს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმისა და გადაუმუშავებელი აგრარული პროდუქციის (გარდა ადგილობრივი წარმოების კვერცხისა და ქათმის) მიწოდება დღგ-ისაგან 2005 წლიდან გათავისუფლებულია. საგადასახადო კოდექსში, აღნიშნული მიმართულებით, 2015 წელს შევიდა დამატებითი ცვლილებებიც, რომლებმაც დღგ-ისგან გაათავისუფლა ზოგიერთი გადამუმუშავებული აგრარული პროდუქტიც:

- ნედლი რძისგან დამზადებული ყველი;
- საქონლის ხორცის ფარში;
- გარჩეული თხილი.


დღგ-ით დაბეგვრის დღესდღეობით მოქმედი სქემის უკეთ გასაგებად, ქვემოთ მოცემულია ორი გრაფიკი, რომლებიც აჩვენებს ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისა (გრაფიკი 5) და შედედებული რძისგან (გრაფიკი 6) წარმოებული 1 ლიტრი შეფუთული რძის (2.5% ცხიმოვანობის მქონე) ღირებულებათა ნაკადებს.

მკვლევრების ჯგუფმა, გრაფიკ 5-ზე, საილუსტრაციოდ განიხილა ინდუსტრიული ფერმის კარზე 3.5% ცხიმოვანობის რძის ფასის (1.35 ლარი/ლ 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით) შემთხვევა, რძისა, რომლის ცხიმოვანობა დაყვანილია 2.5%-ზე (შეფუთული რძის ტიპური ცხიმოვანობა), რომლის ღირებულება შეადგენს 1.20 ლარს 1ლ-ზე. ნედლი რძე გათავისუფლებულია დღგ-ისგან, შესაბამისად, ფერმერი და რძის პროდუქტების (ან ფერმერსა და რძის კომპანიას შორის არსებული რგოლი, რძის შემგროვებელი ცენტრები) კომპანია ნედლი რძის შეძენისას არ იხდის დღგ-ს¹². შემდეგ, რძის პროდუქტების კომპანია გადაუმუშავებს შეძენილ რძეს, ფუთავს მას და ახორციელებს დისტრიბუციას სავაჭრო ქსელებში¹³. რძის პროდუქტების კომპანიისა (0.57 ლარი) და სავაჭრო ობიექტის (0.04 ლარი) მიერ გადახდილი დღგ გამოითვლება მათ მიერ დამატებული ღირებულების შესაბამისად, ხოლო მომხმარებელი 1ლ შეფუთულ რძეში საშუალოდ 4 ლარს იხდის, რაც მოიცავს წინა ეტაპებზე ჯამურად გადახდილ დღგ-ს 0.61 ლარის ოდენობით.

¹² ნედლი რძის წარმოება და ყველის წარმოება უკვე გათავისუფლებულია დღგ-ისგან, მაგრამ რძის სხვა პროდუქტები დღგ-ით იბეგრება.

¹³ 7% არის აღებული როგორც საცალო ვაჭრობის ობიექტების საშუალო ფასნამატი.

გრაფიკი 5: დღგ ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისგან წარმოებულ 1ლ შეფუთულ რძეზე




გრაფიკ 6-ზე კი გამოყენებულია ფასი იმპორტირებული რძისა (ცხიმგაცილილი) და რძის იმპორტირებული ნაღებისთვის (კარაქი), რომლითაც ხდება რძის ცხიმინაობის 2.5%-იან მაჩვენებელთან გათანაბრება. ნებისმიერი სახის აღდგენილი რძე ან აღდგენილი რძისგან დამზადებული პროდუქტი იბეგრება დღგ-ით, მაგრამ დღგ-ის ჩათვლის უფლებით, როგორც ეს ნაჩვენებია გრაფიკ 6-ზე.

რძის პროდუქტების კომპანიები, ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისგან განსხვავებით, იმპორტირებულ რძის ფხვნილსა და რძის ნაღებზე იხდიან დღგ-ს, რომლის მოცულობა, ჩვენს მაგალითში, 0.21 ლარს უდრის. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მოთამაშე იხდის დღგ-ს, მისი შემდგომი ჩათვლის უფლებით. მომხმარებლის მიერ საშუალოდ 1ლ აღდგენილ რძეში გადახდილი ფასი 3.50 ლარს შეადგენს, რაშიც 0.53 ლარს დღგ წარმოადგენს.

გრაფიკი 6: დღგ აღდგენილი რძისგან წარმოებულ 1ლ შეფუთულ რძეზე¹⁴

¹⁴ ყველა ფასი გამოთვლილია 2019 წლის აგვისტოს მონაცემების მიხედვით (ვალუტის გაცვლითი კურსი, რძის ფხვნილისა და ნაღების (კარაქი) საიმპორტო ფასები და 1ლ შეფუთული რძის საბაზო ფასი).



თუ დღგ-ისგან გათავისუფლებული იქნება (მხოლოდ) ადგილობრივი წარმოების ნედლი რძე, 0.61 ლარი, რომელიც დღეს გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველ 1ლ შეფუთულ რძეზე, იგი გადანაწილება შესაბამის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულ სხვადასხვა მოთამაშეზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (სფს) მიხედვით, „რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლად“ რეგისტრირებულია გადასახადის 202 გადამხდელი, რომელთა 38% (77 პირი) არის დღგ-ის გადამხდელიც. 4 წლის მანძილზე, 2014-2017 წლებში, ამ უკანასკნელთა მიერ გადახდილმა დღგ-ის ჯამურმა მოცულობამ 133.3 მლნ ლარი (ანუ, საშუალოწლიურად 33.3 მლნ ლარი) შეადგინა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში შედის არა მხოლოდ ადგილობრივი ნედლი რძისგან წარმოებულ რძის პროდუქტებზე გადახდილი დღგ, არამედ იმპორტირებულ რძის ფხვნილზე, რძის ცხიმზე და რძის პროდუქტებზე და, შესაძლოა, დღგ-ით დაბეგვრად სხვა პროდუქტებზეც გადახდილი გადასახადი.

დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუები და საქართველოში მერძევეობის სექტორზე ჩატარებული რიგი ლიტერატურის (მაგ., IFAD (2018), Georgian Diary (2017)) მიხედვით, რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებში, რომლებიც დღგ-ით დაბეგვრად რძის პროდუქტებს (გარდა ყველისა) აწარმოებენ, საქართველოში წარმოებული ნედლი რძე წარმოადგენს გადამუშავებული რძის 20-30%-ს, ხოლო დანარჩენი დამზადებულია ადღგენილი რძისგან. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლოა, დავასკვნათ, რომ რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების მიერ ჯამურად გადახდილი დღგ-ის მხოლოდ 20-30% მოდის ადგილობრივი წარმოების ნედლ რძეზე დამზადებულ პროდუქტებზე (ყველის გამოკლებით). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მხოლოდ 100% ნედლი რძისგან დამზადებულ პროდუქტები გათავისუფლებულია დღგ-სგან, ხოლო ის პროდუქტები სადაც ხდება ნედლი და ადღგენილი რძის შერევა, ან სადაც ხდება იმპორტირებული ცხიმის დამატება არ ექვემდებარება გათავისუფლებას, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაქსიმუმ 20% შეიძლება იყოს ბიუჯეტის სავარაუდო დანაკარგი დარგის დღგ-ისგან გათავისუფლების შემთხვევაში, 2018 წელს დაახლოებით 9.5 მლნ ლარი იქნებოდა (ცხრილი 7).

ცხრილი 7: ბიუჯეტის დანაკარგების შეფასება (მლნ ლარი)

	% წილი	2014	2015	2016	2017	2018*
ჯამურად გადახდილი დღგ	100%	27.1	30.8	34.1	41.4	47.7
ადგილობრივი წარმოების	35%	9.5	10.8	11.9	14.5	16.7
ნედლი რძისგან დამზადებულ	30%	8.1	9.2	10.2	12.4	14.3
პროდუქტებზე გადახდილი	25%	6.8	7.7	8.5	10.3	11.9
დღგ	20%	5.4	6.2	6.8	8.3	9.5

წყარო: სფს. *2018 წლის მონაცემები, 2014-2017 წლების გასაშუალოებულ ზრდის ტემპზე დაყრდნობით, შეფასებულია მკვლევრების ჯგუფის მიერ. სცენარები შეფასებულია მკვლევრების ჯგუფის მიერ, ზემოთ განხილული მეთოდოლოგიის მიხედვით.

2018 წელს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-ით მიღებულმა შემოსავლებმა 4.427 მლრდ ლარი, მთლიანი საგადასახადო შემოსავლების (9.696 მლრდ ლარი) თითქმის ნახევარი (45.6%) შეადგინა ([საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური](#), 2018). შესაბამისად, თუ ბიუჯეტის დანაკარგები (რძის პროდუქტების სექტორის დღგ-ისგან გათავისუფლების გამო) ჩვენი დაშვებების მიხედვით 9.5 მლნ ლარს გაუტოლდებოდა, ეს თანხა 2018 წლის დღგ-ის შემოსავლების 0.21% და მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 0.10% იქნებოდა.

3.3 საერთაშორისო გამოცდილება

რძის პროდუქტების დღგ-ით დაბეგვრის რეჟიმების საერთაშორისო გამოცდილებები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია. ჩვეულებრივ, ქვეყნები ნედლი რძის და რძის ფხვნილისგან წარმოებულ პროდუქტებს დღგ-ით იდენტურად ბეგრავენ. შესაბამისად, საქართველოს შემთხვევა საკმაოდ გამორჩეულია, რადგან აქ დღგ-ისგან მხოლოდ ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისგან წარმოებული რძის პროდუქტებია გათავისუფლებული საუბარი.

ევროპის ქვეყნების უმეტესობამ (მაგ., გერმანია, ხორვატია, შვეიცარია, ჩეხეთი, საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი, ესპანეთი, საბერძნეთი და სხვა), საკვებზე და მათ შორის რძის პროდუქტებზე, დღგ შეამცირა. გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიასა და მალტაში კი საკვებზე (რძის პროდუქტების ჩათვლით) ვრცელდება დღგ-ის 0%-იანი განაკვეთი (გათავისუფლებულია დღგ-ისგან) ([სიიბრენ კნოსენი](#), 2017), მაგრამ კეიტერინგით ან სავაჭრო აპარატებით რეალიზაციის შემთხვევაში საკვებსა და უალკოჰოლო სასმელებზე შეიძლება გავრცელდეს დღგ დაბალი განაკვეთით. ზოგიერთ ქვეყანაში (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ბულგარეთი, უკრაინა, ბელარუსი, დანია და შვედეთი) გვხვდება დღგ-ის სტანდარტული განაკვეთებიც, რომლებიც რძის პროდუქტებზე 20-25%-ის ფარგლებში მერყეობს.

რაც შეეხება საქართველოს მეზობლებს, სომხეთსა და აზერბაიჯანში რძის პროდუქტებზე ვრცელდება სტანდარტული განაკვეთი, შესაბამისად, 20% და 18%-ის ოდენობით. თურქეთში საკვებზე და მათ შორის, რძის პროდუქტებზე, დღგ-ის განაკვეთი 8%-მდე შემცირდა¹⁵. ¹⁶

არსებობს მერძეულობის სექტორის დღგ-ისგან გათავისუფლების ან სექტორში დღგ-ის შემცირების რამდენიმე ვარიანტი. [ოოსტერჰუსის](#) (2007) მიხედვით, მიზანშეწონილია ბიო რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლება, რადგან ბიო წარმოების ხარჯები მაღალია და აისახება საბოლოო პროდუქტების მაღალ ფასებში. შესაბამისად, ბიო წარმოების დღგ-ისგან გათავისუფლება ერთგვარად ათანაბრებს (ამცირებს) ბიო პროდუქტების ფასს არაორგანული პროდუქტების ფასებთან და ზრდის მოთხოვნას ბიო ნაწარმზე.

2018 წელს ლიტვაში გაჟღერდა [ინიციატივა](#), რომ შემცირებულიყო დღგ-ის განაკვეთი საკვებ პროდუქტებზე და, მათ შორის, რძის პროდუქტებზე, პურსა და ბოსტნეულზე. საინტერესოა, რომ ქვეყნის იმჟამინდელმა პრემიერმინისტრმა, ანდრიუს პალიონისმა შემოთავაზება უარყო. მიუხედავად იმისა, რომ დღგ მოხმარების გადასახადად ითვლება, ინიციატივის საწინააღმდეგო მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ დღგ-ის შემცირება მზარდი ფასების საკითხს ვერ გადაწყვეტდა და ცვლილების შემდეგ სარგებელს პროდუქციის გამყიდველები მიიღებდნენ. განსხვავებული იყო მსგავსი საკითხისადმი დამოკიდებულება რუმინეთში, სადაც ითვლება, რომ 2015 წელს დღგ-ის 24%-დან 9%-მდე შემცირებამ დადებითი გავლენა იქონია რძის პროდუქტების მოხმარებაზე, გაზარდა რა რუმინელი მომხმარებლების მსყიდველობითუნარიანობა. შედეგად, რუმინეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქტების ასორტიმენტი და ბრენდების რაოდენობა ([რუმინეთის რძის პროდუქტების წლიური ანგარიში](#), 2016).

რძესა და რძის პროდუქტებზე მოლდოვაში ვრცელდება [დღგ-ის შემცირებული 8%-იანი განაკვეთი](#). იორგ რადეკამ და იურგენ ერკემ (2016) შეაფასეს დღგ-ის მცირე, 8%-იანი განაკვეთის სტანდარტულ, 20%-იან განაკვეთამდე ზრდის გავლენა საკვების სხვადასხვა ჯგუფებისათვის. მათმა კვლევამ აჩვენა, რომ დღგ-ის შემცირებული განაკვეთებით მწარმოებლები იღებდნენ არაპირდაპირ სარგებელს, რადგან საკვებ პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში მათ შეეძლოთ მაღალი ფასების დაწესება. დღგ-ისგან პოტენციურად აკრებადი საგადასახადო შემოსავლებით კი, ქვეყნის მთავრობა შეძლებდა დაეფინანსებინა და განეხორციელებინა მხარდაჭერის უფრო ეფექტიანი ღონისძიებები, რომლებიც გააძლიერებდა და განავითარებდა ადგილობრივ წარმოებას.

უკრაინა არის რძის პროდუქტების სექტორის განვითარებისთვის დღგ-ის პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენების კიდევ ერთი კარგი მაგალითი. ქვეყანაში რძის პროდუქტები იბეგრება დღგ-ის სტანდარტული, 20%-იანი განაკვეთით, მაგრამ საგადასახადო კანონმდებლობა მეხორცეებსა და რძის პროდუქტების მწარმოებლებს სთავაზობს დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ სისტემას ([დღგ სოფლის მეურნეობაში: უკრაინის გამოცდილება და მტკიცებულებები საეთაშორისო ასპარეზზე](#), 2014). აღნიშნული სისტემის თანახმად, მეხორცეებსა და რძის

¹⁵ იხ: <http://www.investinarmeria.am/en/value-added-tax>

¹⁶ იხ: <https://www.avalara.com/vatlive/en/vat-rates/international-vat-and-gst-rates.html>

პროდუქტების მწარმოებლებს 1998-2009 წლებში ევალებოდათ დღგ-ის გადარიცხვა სპეციალურ, არასაბიუჯეტო ანგარიშებზე, რომლებზეც დაგროვებული თანხა გამოიყენებოდა ნედლი რძისა და ხორცის რეალიზაციაში ჩართული აგრარული მეწარმეებისათვის. სისტემის მთავარი მიზანი რძისა და ხორცის პირველადი მწარმოებლების მხარდაჭერის გზით მეცხოველეობაში განვითარებულიყო წარმოება. 2010-2011 წლებში, მეხორცული მიმართულების ფერმერებსა და რძის პროდუქტების მწარმოებლებს ევალებოდათ დღგ-ის გადახდა ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტის სპეციალურ ფონდში და უშუალოდ რძისა და ხორცის მწარმოებლები შეძლებდნენ დღგ-ის ფონდიდან მიღებას. 2012 წელს სისტემა შეიცვალა: მეხორცულ ფერმერებსა და რძის პროდუქციის მწარმოებლებს გადასახდელი დღგ-ის 20% უნდა გადაერიცხათ ცენტრალური ბიუჯეტის სპეციალურ ფონდში, ხოლო დანარჩენი 80% – სპეციალურ არასაბიუჯეტო ანგარიშზე. ბიუჯეტის სპეციალურ ფონდში მობილიზებული რესურსი ინახებოდა მესაქონლეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის ღონისძიებების დასაფინანსებლად, ხოლო სპეციალურ არასაბიუჯეტო ანგარიშზე მობილიზებული თანხა გამოიყენებოდა მეცხოველეობის კომპანიების სუბსიდირებისთვის. 2013 და 2014 წლებში, ცენტრალური ბიუჯეტის სპეციალურ ფონდში გადასარიცხი დღგ-ის ნაწილი, შესაბამისად, 40% და 50%-მდე გაიზარდა, ხოლო 2015 წლის შემდეგ ხორცისა და რძის პროდუქტების მწარმოებლები დღგ-ს კვლავ მთლიანად ცენტრალური ბიუჯეტის სპეციალურ ფონდში რიცხავენ.


3.4 პრობლემის განსაზღვრება

საქართველოში რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვში არსებული რიგი დაბრკოლების (რძის მაღალი ფასი, რძის დეფიციტი და მიწოდების სეზონურობა, სანიტარიულ-ჰიგიენური პრობლემები და ა.შ.) გამო, რძის პროდუქტების მწარმოებლები ზრდიან მოთხოვნას იმპორტირებულ რძის ფხვნილზე და რძის ნაღებზე/კარაქზე, რაც ადგილობრივი წარმოების ნედლი რძის შემცვლელის როლს ასრულებს. შემოთავაზებული კანონპროექტის ლოგიკით, თუ ნედლი რძისგან წარმოებული რძის პროდუქტები დღგ-ისგან გათავისუფლდება, ნედლი რძე რძის პროდუქტების საწარმოებისათვის შედარებით იაფი ნედლეული გახდება, რაც შეამცირებს დღგ-ით დასაბეგრი იმპორტირებული რძის ფხვნილისა და კარაქის გამოყენების სტიმულებს. ასეთ შემთხვევაში გაიზრდება მოთხოვნა ნედლ რძეზე და მერძეულობის ფერმებს თავიანთი ფერმის გაფართოებისა და რძის პროდუქტების საწარმოებისთვის მიწოდების გაზრდის მოტივაცია ექნებათ.

მართალია, რძე არის რძის პროდუქტების წარმოების მთავარი რესურსი, მაგრამ საწარმოები მაინც მგრძნობიარეები შეიძლება იყვნენ რძის ფასებთან მიმართებაში. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ანიჭებენ უპირატესობას რძის ფხვილის გამოყენებას რძის პროდუქტების საწარმოები ნედლ რძესთან შედარებით, არის რძის ფხვნილის ფასი. მაგრამ, უკანასკნელ პერიოდში, საერთაშორისო დონეზე, რძის ფხვნილსა და ალდგენილ რძეში ცხიმოვანობის ნორმალიზებისთვის საჭირო ნაღებზე (მაგ., კარაქი) ფასების ზრდამ, ქართული ლარის აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურებასთან ერთად, 2019 წელს, სხვაობა 1ლ ალდგენილი რძისა და ინდუსტრიული ფერმის კარზე 1ლ რძის ფასს შორის შეამცირა. რაც შეეხება ფასებსა და ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს 2019 წლის აგვისტოში, 3.5% ცხიმოვანობის ნედლ რძესა და ალდგენილ რძეს შორის, 1ლ-ზე ფასის სხვაობა 0.06 ლარს უდრიდა.

საქართველოში, ფერმის ტიპის მიხედვით, გვხვდება ორი ტიპის ფასები ფერმის კართან: ინდუსტრიული ფერმის ფასები, ან ექსტენსიური ფერმის ფასები. ფასები ექსტენსიური ფერმის კარზე უფრო დაბალია და, ბოლო 4 წლის განმავლობაში, ჩამორჩენა ინდუსტრიული ფერმის კარზე არსებულ ფასთან მიმართებაში იზრდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ამ ორ ფასებს შორის კორელაცია მაღალია - საშუალო შეწონილი ფასები იზრდება როგორც ინდუსტრიული ფერმის რძეზე, ისე ექსტენსიური ფერმის მიერ წარმოებულ რძეზე¹⁷. მეორე მხრივ, რძის პროდუქტების საწარმოებისათვის, ექსტენსიურ ფერმებში წარმოებული რძე, ისევე როგორც ალდგენილი და ცხოველური (კარაქი), ან მცენარეული ცხიმით ნორმალიზებული, მაგრამ მაინც უფრო იაფი რძე, წარმოადგენს ინდუსტრიულ ფერმებში წარმოებული რძის შემცვლელს (გრაფიკი 7).

გრაფიკი 7: ნედლი და ალდგენილი რძის ფასების შედარება



წყარო: ავტორების გამოთვლები, რომლებიც ეყრდნობა შემდეგი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას: ინტერვიუები (რძის ფასები ინდუსტრიალიზებული ფერმის კარზე), Georgian Dairy (რძის ფასები ფერმის კარზე), Trademap (რძის ფხვნილის, კარაქისა და მცენარეული ცხიმებისა და ზეთების იმპორტი), სებ (ვალუტის გაცვლითი კურსები).

რძის ფასები ინდუსტრიული ფერმის კარზე საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე გასაშუალოებული ფასები ფერმის კარზე ევროკავშირში (დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. დანართი 2).

¹⁷ იხ: <http://georgiandairy.org/ka/post/nedli-rdzis-pasebi-gamokitkhvis-shedegebi-18-10-19>

3.5 რძის პროდუქტების სექტორში არსებული შეზღუდვები

საქართველოში, ფასების გარდა, რძის სექტორის განვითარებას რიგი სხვა ფაქტორებიც აფერხებს. ბაზრის მიწოდების მხარეს არსებული რამდენიმე მთავარი შეზღუდვაა:

1. **დაბალპროდუქტიული ჯიშები.** საქართველოში ძირითადად გვხვდება დაბალპროდუქტიული ჯიშის საქონელი და ადგილობრივ მესაქონლეებს ან რძის პროდუქტების მწარმოებლებს არ აქვთ მაღალპროდუქტიული (ჰოლშტეინი და შვიც-ბრაუნი) ჯიშის საქონლის შეძენა-შენახვისთვის საჭირო რესურსი;
2. **ფერმების მცირე მასშტაბი.** ფერმების უმრავლესობა მცირე ზომისაა და არსებობს მცირე რაოდენობის ინტენსიური ფერმები, რომლებსაც ძალუძთ საკვების უზნებლობის სტანდარტების ადექვატურად დაკმაყოფილება;
3. **არასათანადო კვება და ვეტერინარული მომსახურებების ნაკლებობა.** ინტენსიურ ფერმებში საქონელი ადექვატურად იკვებება და იღებს შესაბამის ვეტერინარულ მომსახურებებს, მაგრამ რძის პროდუქტების მწარმოებელ ფერმათა უმრავლესობა არის არაინტენსიური ტიპის ფერმა, სადაც საქონლის კვებასა და ვეტერინარულ მომსახურებაზე (განსაკუთრებით კი პრევენციული ხასიათის ვეტერინარულ სერვისებზე) ძალიან მცირე რესურსი იხარჯება;
4. **ცხოველის საკვების მაღალი ხარჯი.** რძის წარმოებაში კვების ხარჯი გადამწვეტია, განსაკუთრებით კი ინტენსიური ან ნახევრად-ინტენსიური ტიპის ფერმებისთვის. დღესდღეობით, ცხოველის საკვების ფასი საკმაოდ მაღალია და, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურების გამო, კვლავ იზრდება, რადგან საკვების საწარმოებელი ნედლეულ-მასალები (სოია, დანამატები და ა.შ.) იმპორტირებულია;
5. **შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა.** ეს შეზღუდვა არსებითია, არამხოლოდ რძის პროდუქტების სექტორის, არამედ, ზოგადად, ქართული სოფლის მეურნეობისთვის. ფერმერებს არ აქვთ მაღალი ხარისხის ჯიშის საქონლის მოვლის გამოცდილება და აკლიათ ცოდნა თანამედროვე მერძევე ფერმის მენეჯმენტის ყველა ასპექტში.

რაც შეეხება შეზღუდვებს საბაზრო მოთხოვნის მხარეს, ზოგიერთი მათგანი მოცემულია ქვემოთ:

1. **ნედლი რძის მაღალი ფასი.** ნედლი რძის ფასი საქართველოში უკვე საკმაოდ მაღალია და მისმა შემდგომმა გაზრდამ, შეიძლება, გააძვიროს კიდევ რძის პროდუქტები (განსაკუთრებით კი ყველი) და შეამციროს მათზე მოთხოვნის რაოდენობა. ეს უკანასკნელი უარყოფითად იმოქმედებს როგორც რძის პროდუქტების მწარმოებლებზე, ისე მომხმარებლებზე;
2. **ადგილობრივი წარმოების ნედლი რძის ხარისხისა და უზნებლობის საკითხები.** ბაზარზე არის ადგილობრივი წარმოების უზნებელი და მაღალი ხარისხის რძის ნაკლებობა. თანაც, რძის წარმოების სეზონური ხასიათი და ადგილობრივად წარმოებული რძის დეფიციტი, ზრდის რძის პროდუქტების მწარმოებელთა დამოკიდებულებას იმპორტზე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რძის პროდუქტების საწარმოები გათავისუფლებიან დღგ-ისგან იმ ნაწარმზე, რომელსაც დაამზადებენ საქართველოში წარმოებულ ნედლი რძის გამოყენებით, საწარმოებს შეიძლება მაინც მოუწიოთ იმპორტირებული ნედლეულის გამოყენება (მაგ., რძის ნაღები, რომელიც

საჭიროა არაქნის საწარმოებლად რძის ცხიმთანობის საჭირო დონეზე ნორმალიზებისათვის).

4 დღგ-ისგან გათავისუფლების ეკონომიკური ეფექტი

4.1 თეორიული საფუძველი

არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომ გადასახადები იწვევს საზოგადოებრივ დანაკარგს¹⁸, ანუ ეკონომიკურ ტვირთს საზოგადოებისათვის. შესაბამისად, გადასახადების შემცირება ამცირებს ტვირთს და ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას. გადასახადით გამოწვეული დანაკარგების მოცულობა განსხვავდება დროის, ადგილისა და თვით გადასახადის ტიპის/დაბეგვრის მეთოდის მიხედვით. შესაბამისად, საჯარო ფინანსებში გავრცელებულია მტკიცება, რომ გადასახადების დაწესება წარმოადგენს ხარჯს და ამცირებს მოსახლეობის კეთილდღეობას.

სტანდარტული კეინზიანური ანალიზის მიხედვით, გადასახადების შემცირება:

1. გაზრდის განკარგავდი შემოსავლის რაოდენობას;
2. გაზრდის სამომხმარებლო დანახარჯებს.

აღნიშნული სიდიდეების ზუსტი მაჩვენებლები დამოკიდებულია მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების (MPC) სიდიდეზე. MPC აჩვენებს, თუ რამდენი ერთეულით იზრდება მოხმარება შემოსავლის ერთი ერთეულით ზრდის პირობებში, შესაბამისად მისი სიდიდე 0-1 შუალედშია მოთავსებული. სტანდარტულ კეინზიანურ მოდელში, MPC ნაკლებია, ვიდრე მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება (APC), რადგან შემოსავლების ზრდა მოკლევადიან პერიოდში ზოგიერთი (აქ: ავტონომიური) სახის მოხმარებას არ ზრდის. მოკლე ვადაში, შემოსავლების კლება (ზრდა) არ ამცირებს (ზრდის) მოხმარებას, რადგან, თანაბარი მოხმარების შენარჩუნების მიზნით, მომხმარებლები ამცირებენ (ზრდიან) დანაშოგებს. მეორე მხრივ, გრძელვადიან პერიოდში, შემოსავლებისა და სიმდიდრის ზრდის პირობებში, იზრდება მოხმარებაც და შემოსავლებთან მიმართებაში, გრძელვადიანი MPC უახლოვდება APC-ს.

¹⁸ საზოგადოებრივი დანაკარგი არის ბაზრის არაეფექტიანობით გამოწვეული კეთილდღეობის დანაკარგი, რომელიც ვლინდება მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დარღვევისას. აღნიშნული ცნება უმეტესწილად გამოიყენება ეკონომიკაში, მაგრამ გამოსადეგია რესურსების არაეფექტიანი განაწილებით გამოწვეული ნებისმიერი დანაკარგების აღსანიშნავად. გადასახადებს, ფასების მაქსიმუმის შეზღუდვას, როგორიცაა, მაგალითად, ქირის მაქსიმალური დონის განსაზღვრა, ან ფასების მინიმუმის შეზღუდვას, როგორიცაა, მაგალითად, მინიმალური ხელფასის განსაზღვრა, შეუძლიათ წარმოქმნან საზოგადოებრივი დანაკარგები. ვაჭრობის შემცირებული რაოდენობის პირობებში, საზოგადოების წევრებს შორის რესურსების განაწილება შეიძლება არაეფექტიანი აღმოჩნდეს.

ავტონომიური მოხმარების საწყისი ნაზრდი¹⁹ მთლიან ხარჯებს გაზრდის მულტიპლიკატორის ეფექტით²⁰ და გამოიწვევს:

1. ფულისა და ნომინალური მთლიანი გამოშვების წონასწორული დონის მატებას;
2. პროდუქტისა და მომსახურების რეალური გამოშვების ზრდას (პოტენციური ეფექტი).

რაც უფრო მეტად ელასტიკურია საბაზრო მოთხოვნა და მიწოდება, მით უფრო მეტად ამახინჯებს გადასახადები საბაზრო ქცევას და, შესაბამისად, მით უფრო მოსალოდნელია გადასახადების შემცირებით შემოსავლების ზრდა. მაგრამ, საკამათო არაა ერთი ფაქტი, რომ მხოლოდ გადასახადების განაკვეთებზე დაკვირვებით შეუძლებელია დადგინდეს, რამდენს მოიგებს ან იზარალებს სახელმწიფო (ხელისუფლება/მთავრობა) გადასახადების დონის ცვლილებით. ეფექტები იმაზეცაა დამოკიდებული, თუ როგორ ცვლის გადასახადების ცვლილება ხალხის ქცევას ბაზარზე.

ეკონომიკურ დანაკარგებთან და გადასახადებთან, ან გადასახადების ზრდასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიხედვით, გადასახადების შემცირებით გამოწვეული ნებისმიერი არასასურველი ინფლაციური (აქ: რაიმე მაჩვენებლების ზრდის) არასასურველი ეფექტი, გაზრდილი მთლიანი მოთხოვნის ხარჯზე მალევე, ან სულაც მყისიერად აღმოიფხვრება. უარყოფით ეფექტს, გაზრდილ ერთობლივ მოთხოვნასთან ერთად, აღმოფხვრის გაზრდილი ერთობლივი მიწოდებაც, რაც ადამიანური და ფიზიკური კაპიტალის დამატებითი ერთეულების ფორმირებისა და გამოყენების წყალობით დანაკარგების შემცირებაში გამოიხატება. შედარებით მაღალი ერთობლივი მოთხოვნის ინფლაციურ ეფექტებს აღმოფხვრის (და შეიძლება უფრო მეტი ეფექტიც კი იქონიოს) უფრო მაღალი ერთობლივი მიწოდების დეფლაციური (აქ: რაიმე მაჩვენებლის შემცირების) ეფექტები.

ელასტიკურობის სიდიდეების მიხედვით, შესაძლებელია გადასახადების დაწესებით მიღებული დანაკარგის მასშტაბებზე მსჯელობა. შესაბამისად, შესაძლებელია გადასახადების შემცირებით მოსალოდნელ საზოგადოებრივ კეთილდღეობის ზრდაზე მსჯელობაც.

შედარებით არაელასტიკური მიწოდების პირობებში, გადასახადებით გამოწვეული დანაკარგი მცირეა, ხოლო შედარებით ელასტიკური მიწოდების პირობებში – დიდი. მსგავსი დამოკიდებულება არსებობს მიწოდებასა და ელასტიკურობას შორისაც. შედარებით არაელასტიკური მოთხოვნის პირობებში, გადასახადით გამოწვეული დანაკარგი მცირეა, ხოლო შედარებით ელასტიკური მოთხოვნის პირობებში – დიდი.

განალიზებულია ორი სხვადასხვა ბაზარი: ნედლი რძის ბაზარი და რძის პროდუქტების ბაზარი.

ანალიზის დახმარებით, ნედლი რძისა და რძის პროდუქტების ბაზრებისთვის, შეფასდა მოთხოვნა-მიწოდების ელასტიკურობები და საბაზრო მოთხოვნის, მიწოდებისა და ფასების მოსალოდნელი ცვლილებები, თუ ნედლი რძისა და რძის პროდუქტების ბაზარი დღგ-ისგან გათავისუფლდება.

¹⁹ ცვლილებას ავტონომიურად აქცევს ის ფაქტი, რომ ეს ცვლილება არ ხდება შემოსავლების ცვლილების ხარჯზე.

²⁰ ხარჯების მარტივი მულტიპლიკატორი არის წარმოების ჯამური ცვლილების შეფარდება ჯამურ მოხმარებაში ავტონომიური ცვლილების სიდიდესთან, როცა მხოლოდ მოხმარებაა გამოწვეული ხარჯი.

4.2 მონაცემები

დღგ-ისგან გათავისუფლების ეკონომიკური ეფექტის შესაფასებლად, მოთხოვნის, მიწოდებისა და ფასების შესახებ მონაცემები შეგროვდა მეორეული და პირველადი წყაროებიდან.

მოთხოვნა რძის პროდუქტებზე

რძის პროდუქტებზე მოთხოვნის შეფასებისას, გაანალიზდა რძის ის პროდუქტები, რომლებიც კანონპროექტის მიღების შემთხვევაში დღგ-ისგან გათავისუფლდება. ეს პროდუქტებია: ბოთლში ჩამოსხმული რძე, მაწონი, იოგურტი, კეფირი, ნაღული და არაჟანი. ანალიზის პროცესში გამოყენებულ იქნა საქსტატის შინამეურნეობების კვლევა, რომელშიც არის კვარტალური მონაცემები 2009-2018 წლებში საქართველოს შინამეურნეობების მოხმარების შესახებ.

ვინაიდან შინამეურნეობების კვლევა არ მოიცავს მოხმარებას რესტორნებში, სასტუმროებსა და კაფეებში, ზემოთ ჩამოთვლილი რძის პროდუქტების ჯამური მოხმარების გამოსათვლელად, გამოყენებულია დაშვება, რომ კონკრეტული რძის პროდუქტის (მაგ., მაწონი) მოხმარების წილი მთლიან (ქვეყნის მასშტაბით) მოხმარებაში იგივეა, რაც მისი წილი შინამეურნეობის მოხმარების წილში. იგივე დაშვებას ეყრდნობა მოხმარების კვარტალური განაწილება ქვეყნის მასშტაბით – დაშვებულია, რომ კვარტალური მოხმარება ქვეყნის მასშტაბით, იგივეა მოხმარება შინამეურნეობების დონეზე.

მიწოდება რძის პროდუქტებზე

რძის პროდუქტების ჯამური მიწოდება 3 კომპონენტისგან შედგება. ესენია:

1. მიწოდება რეგისტრირებული ბიზნესებისგან;
2. მიწოდება არარეგისტრირებული ფერმერებისგან;
3. რძის პროდუქტების იმპორტი.

მონაცემები რეგისტრირებული ბიზნესებისგან წარმოქმნილი მიწოდების შესახებ, ეყრდნობა 2013-2016 წლების მაჩვენებლებს, რომლებიც აღებულია [Georgian Dairy-ის ანგარიშიდან](#) (იხ. ცხრილი 8). 2013-2016 წლებში წარმოების მატების გასაშუალოებული ტემპი, გამოყენებულ იქნა 2009-2018 წლების წარმოების მოცულობების შესაფასებლად.

ცხრილი 8: რეგისტრირებული ბიზნესების მიერ წარმოებული რძის პროდუქტები (ათასი ტონა)

რძის პროდუქტები	2013	2014	2015	2016
რძე	6.9	7.9	6.4	6.9
მაწონი	9.2	10.4	9.7	10.5
იოგურტი	1.2	1.7	1.8	2.2
კეფირი	1.8	2.2	1.8	1.5
ნაღული	3.1	3.4	3	3.6

არაქანი	8.3	8.7	8.9	10.1
სულა	30.5	34.3	31.6	34.8

წყარო: Georgian Dairy, 2017

იმპორტის მონაცემები მზა სახით იყო ხელმისაწვდომი სფს-ის მონაცემთა ბაზაში, ხოლო არარეგისტრირებული ფერმერების მიერ წარმოებული რძის პროდუქტების მოცულობები, შესაბამისი მონაცემების არარსებობის გამო, მკვლევრების ჯგუფმა თავად შეაფასა. ფერმერების მიერ წარმოებული რძის პროდუქტების რაოდენობის შესაფასებლად, გამოთვლილ იქნა შემდეგი სხვაობა

$სხვაობა = მოთხოვნა - მიწოდება (ბიზნეს ოპერატორები + იმპორტი)$

რძის პროდუქტებზე მთლიან მოთხოვნაში სხვაობის წილი, გამოყენებულ იქნა, როგორც მთლიან მიწოდებაში არარეგისტრირებული ფერმერებისგან წარმოქმნილი მიწოდების მაჩვენებელი ალტერნატიული სიდიდე.

რძის პროდუქტების ფასები

რძის პროდუქტების ფასებიც შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევებიდან აღებულ მონაცემებზე დაყრდნობით იქნა გამოთვლილი და წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილი რძის პროდუქტების ფასების შეწონილ საშუალოს, სადაც წონებად აღებულია რძის კონკრეტული პროდუქტის წილი მთლიან მოხმარებაში. ფასები დაკორექტირებულია ინფლაციის ტემპის შესაბამისად.

მოთხოვნა ნედლ რძეზე

ნედლ რძეზე მოთხოვნა გამოთვლილია საქსტატის სასურსათო ბალანსებზე დაყრდნობით. ბალანსები ქვეყნდება ყოველწლიურად და კვარტალური მონაცემების მისაღებად წლიური სიდიდეები დაიყო შინამეურნეობების კვლევებში გამოვლენილი კვარტალური მოხმარებების თანაფარდობების მიხედვით.

ნედლი რძის მიწოდება

ნედლი რძის კვარტალური მიწოდების სიდიდეები ეყრდნობა საქსტატის მონაცემებს ქვეყანაში ნედლი რძის წარმოების შესახებ.

ნედლი რძის ფასი

ნედლი რძის ფასი არის კომერციული ფერმებისა და შინამეურნეობების წარმოებული ნედლი რძის საშუალო ფასი ფერმის კარზე²¹. კვარტლების საშუალო ფასების გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა საქართველოს მერძევეთა ასოციაციის მონაცემები 2016 წლის აგვისტოდან 2018 წლის დეკემბრამდე. ვინაიდან 2009-2015 წლებში ფერმის კარზე არსებული ფასების შესახებ მონაცემები არ იყო ხელმისაწვდომი, რძის საცალო ფასი შესწორდა დროის სხვა მონაკვეთში ფერმის კარზე არსებული ფასების შესახებ არსებული მონაცემების მიხედვით. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2016-2018 წლებში ფერმის კარზე არსებული ფასები იმავე დროს

²¹ არ ითვალისწინებს ინდუსტრიული ფერმების რძის ფასებს.

არსებული საცალო ფასების საშუალოდ 45%-ს (მაჩვენებელი განსხვავდება კვარტლების მიხედვით) წარმოადგენდა. სწორედ ამ პროცენტული წილის და საცალო ფასების გამოყენებით შეფასდა 2009-2015 წლებში ფერმის კარზე არსებული ფასები, რომლებიც შესწორდა ინფლაციის ტემპის მიხედვით.

4.3 გამოთვლა-შეფასებების სტრატეგია

რძის პროდუქტებისა და ნედლი რძის მოთხოვნა-მიწოდების ელასტიკურობების გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა რეგრესიული ანალიზი. ნედლი რძისა და რძის პროდუქტების ბაზრებზე არსებული ელასტიკურობების კოეფიციენტების შესაფასებლად, პროგრამულ უზრუნველყოფაში ცალ-ცალკე აიგო და დამუშავდა რეგრესიები (იხ. დანართი 3-ში).

რძის პროდუქტების ფასებსა და ამ პროდუქტების მოთხოვნაზე დღგ-ისგან გათავისუფლებისას მოსალოდნელი ეფექტების გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა ნაწილობრივი წონასწორობის მოდელი. იმის გათვალისწინებით, რომ ნედლი რძისა და რძის პროდუქტების ბაზრები და ფასები ურთიერთდაკავშირებულია, ისევე როგორც რძისა და რძის პროდუქტების ფასები, განტოლებებისთვის მოიძებნა ისეთი ერთიანი ამონახსნი, რომელიც ჭარბ მიწოდებას ორივე ბაზარზე ერთობლივად აღმოფხვრიდა.

4.4 შედეგები

გამოთვლების შედეგად მიღებული პასუხების თანახმად, რძის პროდუქტებზე მოთხოვნის ელასტიკურობა არის -0.30, ხოლო მიწოდების ელასტიკურობა, ამავე პროდუქტებზე, 0.69-ის ტოლია (იხ. ცხრილი A1 დანართში). მოთხოვნაც და მიწოდებაც არაელასტიკურია, ვინაიდან მათი კოეფიციენტების მოდული 1-ზე ნაკლებია. არაელასტიკური მოთხოვნა და მიწოდება, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ გადასახადებით გამოწვეული დანაკარგები მცირეა და, შესაბამისად, გადასახადების კლებით მიღებული სარგებელიც მცირე იქნება მთლიანი საზოგადოებისთვის.

რაც შეეხება ნედლი რძის ბაზარს, აქ მოთხოვნის ელასტიკურობა არის -0.06, ხოლო მიწოდების ელასტიკურობა 0.16-ს უდრის. ანუ, მოთხოვნა და მიწოდება ნედლი რძის ბაზარზეც არაელასტიკურია.

ელასტიკურობის შესაბამისი კოეფიციენტები მოცემულია ცხრილ 9-ში.

ცხრილი 9: ელასტიკურობის კოეფიციენტები

ცვლადი	სიდიდე
მოთხოვნის ელასტიკურობა რძის პროდუქტებზე	-0.30
მიწოდების ელასტიკურობა რძის პროდუქტებზე	0.69
მოთხოვნის ელასტიკურობა ნედლ რძეზე	-0.06
მიწოდების ელასტიკურობა ნედლ რძეზე	0.16

ორივე ბაზარზე ჭარბი მიწოდების ერთობლივად აღმოფხვრის შესაბამისი საერთო ამოხსნის მიხედვით, თუ რძის პროდუქტები დღგ-ით აღარ დაიბეგრება, მათზე მოთხოვნაც და მათი მიწოდება 3.4-3.4%-ით გაიზრდება, ხოლო რძის პროდუქტების ფასები 11.0%-ით დაიკლებს.

ამავდროულად, ნედლი რძის მიწოდება და მოთხოვნა 1.0-1.0%-ით გაიზრდება, ხოლო ნედლი რძის ფასები 6.7%-ით მოიმატებს (ცხრილი 10).

ცხრილი 10: დღგ-ისგან გათავისუფლების შეფასებები

	საწყისი ღონე	დღგ-ისგან გათავისუფლება	ცვლილება
რძის პროდუქტები			
მიწოდება (ათასი ტონა)	58.1	60.1	3.4%
მოთხოვნა (ათასი ტონა)	58.1	60.1	3.4%
ფასი (ლარი/კგ)	4.63	4.12	-11.0%
ნედლი რძე			
მიწოდება (ათასი ტონა)	555.2	561	1.0%
მოთხოვნა (ათასი ტონა)	555.2	561	1.0%
ფასი (ლარი/ლ)	0.90	0.96	6.7%

შენიშვნა: საბაზისო მონაცემებად აღებულია 2018 წლის მონაცემები.

5 ნედლეული/გამოშვების თანაფარდობა რძის პროდუქტებისთვის

რძის პროდუქტების ფასები განსხვავდება იმის მიხედვით, ადგილობრივი წარმოების ნედლი რძე იქნა გამოყენებული ნედლეულად, თუ აღდგენილი რძე (ნედლი რძის გამოყენების შემთხვევაში ფასები უფრო მაღალია). რძის ზოგიერთ გადამამუშავებელს, მომხმარებელთა მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ, უკვე აქვს ნედლი რძის სპეციალური სასაქონლო ხაზი²².

მკვლევრების ჯგუფმა გამოთვალა **ნედლეული/გამოშვების ფასთა თანაფარდობები**, როგორც ერთი ნედლეულის, რძის, გამოყენების პროდუქტიულობის საზომი. ნაწილობრივი პროდუქტიულობის საზომის დახმარებით, შეგვიძლია დავაკვირდეთ, როგორ განსხვავდება ეფექტიანობის მაჩვენებლები ან ნედლი რძის, ან აღდგენილი რძის გამოყენებისას. ფარდობის დაბალი მაჩვენებელი უკეთესია და აღნიშნული რესურსის ერთადერთ რესურსად გამოყენების უფრო მაღალ ეფექტიანობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტიულობა მხოლოდ

²² „სანტეს“ ბრენდი „სანტინო“ და „სოფლის ნობათის“ ბრენდი „რჩეული“.

ნაწილობრივ გაიზომება, რეალური შემთხვევების შედეგების ინტერპრეტირებისთვის, ის მაინც სასარგებლო იქნება.

- i) ნედლეული = აღდგენილი რძის ფასი²³;
გამოშვება = აღდგენილი რძისგან მიღებული საბოლოო რძის პროდუქტის ფასი²⁴.
- ii) ნედლეული = ადგილობრივი წარმოების ნედლი რძე²⁵;
გამოშვება = ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისგან მიღებული საბოლოო რძის პროდუქტის ფასი²⁶.

ჩვენი კვლევის შედეგების (ცხრილი 11) მიხედვით, დღ-ისგან გათავისუფლების შემთხვევაში, ნედლი რძის ფასი 6.7%-ით გაიზრდება, ხოლო რძის პროდუქტების ფასები 11.0%-ით დაიკლებს. სწორედ ეს შედეგებია გამოყენებული ცხრილ 11-ში მოცემულ სცენარ 1-ში (დღ-ისგან გათავისუფლების შემთხვევა), რომელიც შედარებულია სცენარ 0-თან, ანუ სტატუს-ქვოსთან (დღესდღეობით არსებულ მდგომარეობასთან), როცა რძის პროდუქტები დღ-ით იბეგრება. ანალიზში გათვალისწინებულია საბოლოო პროდუქტების ფასებს შორის არსებული სხვაობები.

ცხრილი 11: ნედლეული/გამოშვების ფასთა თანაფარდობა რძის პროდუქტებისთვის (სცენარი 1)

#	რძის პროდუქტი	საცალო ფასებს შორის არსებული სხვაობა 1კგ (ან ლ) პროდუქტზე*	აღდგენილი რძისგან წარმოებული პროდუქტი (ნორმალიზებული იმპორტირებული რძის ცხიმით) (i)	ადგილობრივად წარმოებული ნედლი რძისგან მიღებული პროდუქტი (ii)	
				სცენარი 0: დღ-ის პირობებში (სტატუს-ქვო)	სცენარი 1: დღ-ისგან გათავისუფლების შემთხვევაში
1	1ლ შეფუთული რძე (ცხიმინაობა 2.5%)	2%	39%	35%	36%
2	არაქანი (ცხიმინაობა 20%)	29%	70%	46%	45%
3	მაწონი (ცხიმინაობა 3.5%)	8%	43%	36%	37%
4	იოგურტი (ცხიმინაობა 2.5%)	42%	20%	14%	15%
5	ყველი (ან ყველისებრი პროდუქტი)	75%	79%	77%**	82%

*ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისგან დამზადებულ რძის პროდუქტებზე ფასების 11.0%-იანი კლების პირობებში (დღ-ისგან გათავისუფლების შემთხვევა).

**ყველი უკვე გათავისუფლებულია დღ-ისაგან.

²³ რძის ფხვნილის აღდგენა ხდება მასში რძის ნაღების (კარაქი) დამატებით.

²⁴ ყველა ფასი აღებულია 2019 წლის აგვისტოს შესაბამისად.

²⁵ გამოყენებულ იქნა რძის საშუალო ფასები ინდუსტრიული ფერმის კარზე (1.35ლარი/ლიტრი 2019 წლის აგვისტოში), რადგან დარგის წარმომადგენელთა უმეტესობის აზრით, რძის პროდუქტები (გარდა ყველისა) მზადდება ინდუსტრიულ ფერმებში წარმოებული რძისგან (რადგან შედარებით სუფთაა და ნაკლებად დაბინძურებული).

²⁶ ყველა ფასი აღებულია 2019 წლის აგვისტოს შესაბამისად.

წყარო: ავტორების გამოთვლები. შენიშვნა: გამოთვლებში გამოყენებულია 2019 წლის აგვისტოს ფასები (რძის ფხვნილისა და კარაქის ფასები, დოლარი/ლარი გაცვლითი კურსის გათვალისწინებით). რძის ფასად აღებულია 2019 წლის აგვისტოში ინდუსტრიული ფერმის კარზე არსებული რძის ფასის შეწონილი საშუალო (1.35 ლარი/ლიტრი, რომელიც 6.7%-ით იზრდება, 1.44 ლარი/ლიტრ სიდიდემდე).

მიღებული შედეგებით, ნედლეული/გამომშვების თანაფარდობა მცირედით, მაგრამ უმჯობესია (ყველის შემთხვევის გარდა, რომელიც გაუარესდა), როცა პროდუქტის საწარმოებლად გამოყენებულია ნედლი რძე (ii), ვიდრე აღდგენილი რძე (i). ამის მიუხედავად, რძის პროდუქტების საწარმოები უპირატესობას მაინც აღდგენილ რძეს ანიჭებენ, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ რძის პროდუქტების წარმოებისას ნედლეულის (რძე) ფასი გადამწყვეტ როლს არ თამაშობს და მნიშვნელოვანია ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებაც. აღსანიშნავია, რომ თანაფარდობები, ნედლი რძისგან წარმოებული პროდუქტებისთვის, დღგ-ისგან გათავისუფლების (სცენარი 1) ან დღგ-ით დაბეგვრის შენარჩუნების (სცენარი 0) შემთხვევაში, ერთმანეთისგან ღიდად არ განსხვავდება. ეს გარკვეულწილად იმითაც არის გამოწვეული, რომ რძის პროდუქტების ფასების კლების პარალელურად, ნედლ რძეზე ფასებიც გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ნედლი რძისგან დამზადებული რძის პროდუქტები (ყველის გარდა), მაინც 24%-ით უფრო ძვირი ეღირება²⁷ აღდგენილი რძისგან დამზადებული პროდუქტების ფასებზე, ამდენად, ეს უკანასკნელი უფრო ხელმისაწვდომი იქნება საშუალო მომხმარებლისთვის.

მერძვეობის ინდუსტრიის წარმომადგენელთა უმრავლესობის განცხადებით, ისინი არ ელიან რძის პროდუქტების ფასების კლებას დღგ-ისგან გათავისუფლების შემთხვევაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილ 12-ში წარმოდგენილია სცენარი 2, რომლის მიხედვითაც რძის პროდუქტებზე დღგ-ის გაუქმების შედეგად ნედლი რძის ფასები 6.7%-ით იმატებს, მაგრამ რძის პროდუქტების ფასები უცვლელი რჩება.

ცხრილი 12: ნედლეული/გამომშვების ფასთა თანაფარდობა რძის პროდუქტებისთვის (სცენარი 2)

#	რძის პროდუქტი	საცალო ფასებს შორის არსებული სხვაობა 1კგ (ან ლ) პროდუქტზე*	აღდგენილი რძისგან წარმოებული პროდუქტი (ნორმალიზებული იმპორტირებული რძის ცხიმით) (i)	ადგილობრივად წარმოებული ნედლი რძისგან მიღებული პროდუქტი (ii)	
				სცენარი 0: დღგ-ის პირობებში (სტატუს-ქვო)	სცენარი 2: დღგ-ისგან გათავისუფლების შემთხვევაში (როცა რძის პროდუქტების ფასები არ იცვლება)
1	1ლ შეფუთული რძე (ცხიმოვნობა 2.5%)	14%	39%	35%	32%

²⁷ აღებულია ოთხი ძირითადი პროდუქტის საშუალო შეწონილი ფასები: დაფასოვებული რძე, არაჯანი, მაწონი და იოგურტი.

2	არაქანი (ცხიმინობა 20%)	45%	70%	46%	40%
3	მაწონი (ცხიმინობა 3.5%)	22%	43%	36%	33%
4	იოგურტი (ცხიმინობა 2.5%)	60%	20%	14%	13%
5	ყველი (ან ყველისებრი პროდუქტი)	75%	79%	77%**	82%

*რძის პროდუქტებზე არსებული ფასების სხვაობის გათვალისწინებით (პროდუქტის ფასი უფრო მაღალია თუ იგი მზადდება ნედლი რძისგან და არა ალდგენილი რძისგან) 2019 წლის აგვისტოს მონაცემებით (სტატუს-ქვო ფასები).

**ყველი უკვე გათავისუფლებულია დღგ-ისგან.

წყარო: ავტორების გამოთვლები. შენიშვნა: გამოთვლებში გამოყენებულია 2019 წლის აგვისტოს ფასები (რძის ფხვნილისა და კარაქის ფასები, დოლარი/ლარი გაცვლითი კურსის გათვალისწინებით). რძის ფასად აღებულია 2019 წლის აგვისტოში ინდუსტრიული ფერმის კარზე არსებული რძის ფასის შეწონილი საშუალო (1.35 ლარი/ლიტრი, რომელიც 6.7%-ით იზრდება, 1.44 ლარი/ლიტრ სიდიდემდე).

სცენარ 2-ის შედეგების მიხედვით, ნედლეული/გამომშვების თანაფარდობების სიდიდეები მცირედით უკეთესია (ყველის შემთხვევის გარდა, რომელიც გაუარესებულია), თუ ნედლი რძისა და ალდგენილი რძისგან წარმოებული რძის პროდუქტებს შორის ფასები არ იცვლება. ამასთან, თანაფარდობებს შორის განსხვავება იმდენად მცირეა, რომ რძის პროდუქტების საწარმოებმა შეიძლება კვლავ ალდგენილი რძე გამოიყენონ, მისი რიგი უპირატესობების გამო: სეზონურობის არარსებობა, ადვილი შენახვალობა, რძის სისუფთავე (დაუბინძურებლობა), არა მალფუჭებადობა (ნედლი რძისგან განსხვავებით), რძის შეგროვებისთვის საჭირო ფიზიკური ინფრასტრუქტურის საჭიროების არარსებობა და ა.შ. მიუხედავად ამისა, ნედლი რძისგან დამზადებული რძის პროდუქტები (ყველის გარდა), მაინც 40%-ით უფრო ძვირი ეღირება²⁸ ალდგენილი რძისგან დამზადებული პროდუქტების ფასებზე, ამდენად, ეს უკანასკნელი უფრო ხელმისაწვდომი იქნება საშუალო მომხმარებლისთვის.

6 საქართველოში რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა დამოკიდებულება და შეხედულებები დღგ-ისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით

დღგ-ისგან გათავისუფლების პერსპექტივასთან დაკავშირებით, ქართველ მერძვე ფერმერებს, რძის გადამამუშავებლებსა და ასოციაციებს განსხვავებული მოლოდინები და დამოკიდებულებები აქვთ. ადგილობრივი ნედლი რძისგან წარმოებული რძის პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლების სასარგებლოდ შემდეგი მთავარი არგუმენტებია:

²⁸ აღებულია ოთხი ძირითადი პროდუქტის საშუალო შეწონილი ფასები: დაფასოვებული რძე, არაქანი, მაწონი და იოგურტი.

ნელლი რძის კონკურენტუნარიანობის ზრდა - დღესდღეობით, ინდუსტრიული მეთოდით წარმოებული ნელლი რძის ფასები აღდგენილი რძის ფასებს აღემატება. თანაც, რძის გადამამუშავებელთა განცხადებით, ექსტენსიურ ფერმებში წარმოებული ნელლი რძის ხარისხი ძალზედ დაბალია და მის უვნებლობაზე კითხვებს აჩენს. დღგ-ისგან გათავისუფლება გაზრდის მოთხოვნას ადგილობრივი წარმოების ნელ რძეზე, რაც ფერმერებს წარმოების ზრდისკენ, ინდუსტრიულ მეურნეობად გარდაქმნისკენ და რძის ხარისხის ამაღლებისკენ უბიძგებს.

რძის პროდუქტების ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა – დღგ-ისგან გათავისუფლება რძის გადამამუშავებლებს უბიძგებს წარმოების პროცესში გამოიყენონ ადგილობრივი წარმოების ნელლი რძე (და არა აღდგენილი რძე), რაც გაზრდის ადგილობრივად წარმოებული რძის მოცულობას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. მეორე მხრივ, დღგ-ისგან გათავისუფლება შეამცირებს ქართული რძის პროდუქტების ფასებს და, შესაბამისად, აამაღლებს ადგილობრივი ნაწარმის კონკურენტუნარიანობას იმპორტირებულ პროდუქტთან შედარებით.

არაფორმალური წარმოების შემცირება – დღგ-ით დაბეგვრისგან რძის იმ პროდუქტების გათავისუფლება, რომლებიც ადგილობრივი წარმოების ნელლი რძითაა დამზადებული, გაზრდის მოთხოვნას ნელ რძეზე, რამაც შეიძლება უბიძგოს საოჯახო ტიპის ფერმებს და შინამეურნეობებს (დაურეგისტრირებლები) დარეგისტრირდნენ და გადაიტანონ თავიანთი საქმიანობა ჩრდილოვანი ეკონომიკიდან ფორმალიზებული ბაზრის ჩარჩოებში. ამას გარდა, დღგ-ისგან გათავისუფლებას შეიძლება ჰქონდეს დამატებითი ფისკალური სარგებელიც, რადგან რეგისტრირებულმა ფერმებმა შეიძლება წარმოქმნან დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლები საშემოსავლო და მოგების გადასახადის სახით.

სამართლიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა –დღესდღეობით, საოჯახო მეურნეობებსა და საოჯახო ფერმებს არ ევალებათ ბიზნეს ოპერატორებად დარეგისტრირება. შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება სურსათის უვნებლობის რეგულაციები და მათი საქმიანობა არ იბეგრება. საოჯახო ტიპის (ან დაურეგისტრირებელი) ფერმების წილი რძის მთლიან წარმოებაში ძალიან დიდია. მეორე მხრივ, რძის გადამამუშავებლები კი იხდიან ყველა სახის გადასახადს და, მათ შორის, დღგ-საც. ეს უკანასკნელნი ვალდებული არიან უზრუნველყონ სურსათის უვნებლობა, რაც დიდი ოდენობით ფინანსურ რესურსს და შესაბამის აღჭურვილობაში ინვესტირებას საჭიროებს. დღგ-ისგან გათავისუფლება შეამცირებდა რძის გადამამუშავებელთა ხარჯებს და შექმნიდა მეტნაკლებად კონკურენტულ გარემოს რძის პროდუქტების სექტორში.

კანონპროექტთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი გაურკვეველი საკითხები და საწინააღმდეგო არგუმენტები:

კანონპროექტის ბუნდოვანება – რძის გადამამუშავებლები წუხილს გამოთქვამენ, რომ კანონპროექტი ძალზედ ბუნდოვანად განსაზღვრავს ტერმინებსა და წარმოების პროცესში რძის ფხვნილისა, თუ სხვა დანამატების გამოყენების ნებადართულ/საჭირო პროპორციებს. შესაბამისად, ისინი შიშობენ, რომ გაძნელდება საგადასახადო ინსპექტირებთან ურთიერთობა და მათ ურჩევნიათ გადაიხადონ დღგ, ვიდრე ჰქონდეთ საკანონმდებლო დავები და პროცესები სასამართლოში. გარდა ამისა, მკაფიოდ არაა განსაზღვრული კანონპროექტის

განმახორციელებელი პირების/ორგანოები და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მკაფიოდ არაა განსაზღვრული როგორ აღსრულდება კანონპროექტი.

აღსრულების პრობლემები – როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონპროექტში სათანადოდ არაა განხილული მის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები. მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სფს-ის შემოსავლების სამსახური აიღებს პასუხისმგებლობას საგადასახადო ინსპექტირებაზე, პრაქტიკულად მაინც თითქმის შეუძლებელი იქნება, შემოწმდეს, რა რაოდენობის ნედლი რძე იქნება გამოყენებული წარმოებაში, როცა გადამამუშავების პროცესში შერეულად გამოიყენება როგორც ნედლი, ისე აღდგენილი რძე. რძის ზოგიერთი გადამამუშავებელი სკეპტიკურადაა განწყობილი და აცხადებს, რომ, მხოლოდ და მხოლოდ ფინანსურ დოკუმენტაციასა და სავაჭრო ზედნადებებზე დაყრდნობით, კანონის აღსრულება გაძნელდება. უფრო მეტიც, ისინი კანონპროექტის აღსრულების ტექნიკურ ასპექტებსაც ეჭვის თვალით უყურებენ.

ადგილობრივად წარმოებული ნედლი რძის ხარისხი – რძის ზოგიერთი გადამამუშავებელი აცხადებს, რომ რძის ფხვნილის გამოყენების მთავარი მიზეზი არა ნედლი რძის [მაღალი] ფასია, არამედ მისი [დაბალი] ხარისხი. თუ ფერმერები არ გაზრდიან ნედლი რძის ხარისხს სურსათის უვნებლობის სტანდარტებით მოთხოვნილ დონემდე, რძის გადამამუშავებლებს არ ექნებათ წარმოებაში ნედლი რძის გამოყენების სურვილი.

სარგებლის განაწილება - დღგ-ისგან გათავისუფლებისგან მიღებული სარგებლის განაწილებაზე აზრები გაყოფილია. ფერმერები ვარაუდობენ, რომ დღგ-ისგან გათავისუფლება არ გაზრდის ნედლი რძის ფასებს და საგადასახადო რეფორმით მხოლოდ რძის გადამამუშავებლები იხეირებენ. რძის გადამამუშავებლები კი, თავის მხრივ, ფერმერთა აღნიშნული მოლოდინების გამო, მათი მხრიდან ფასების ზრდას ვარაუდობენ.

მოსალოდნელი უარყოფითი გავლენა მომხმარებლებზე – ადგილობრივი წარმოების ნედლი რძის ფასი უკვე საკმაოდ მაღალია, ხოლო ასეთი რძისგან წარმოებული რძის პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლება ნედლ რძეზე მოთხოვნას და შედეგად ფასებსაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის. ყველის მწარმოებლები ვარაუდობენ, რომ ადგილობრივი წარმოების ნედლი რძის გაძვირება გაზრდის ყველის წარმოების ხარჯებს და შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის ფასებს, მაშინ როცა ყველზე უკვე მოდის რძის პროდუქტებზე გაწეული დანახარჯების 56.4%. აღსანიშნავია, რომ ყველზე ფასების ზრდა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდშია მოსალოდნელი, გრძელვადიან პერიოდში კი, გაზრდილი ფასები გამოიწვევს ფერმების ინდუსტრიალიზაციას და გაზრდის წარმოების მოცულობას, რაც, საბოლოოდ, ფასებს შეამცირებს.

სექტორში არსებული გამოწვევები – დაბალი პროდუქტიულობა რძის პროდუქტების სექტორში არსებული მთავარი პრობლემაა, რაც პირდაპირ უკავშირდება ნედლეულის მაღალ ხარჯებს, პირუტყვის არასათანადო კვებას, საქონლის ნაყოფიერების დაბალ დონეს და პირუტყვის დაბალ გენეტიკურ პოტენციალს, საქონლის რეპროდუქციის არაეფექტიან მენეჯმენტს და წველადობის მოკლევადიან პერიოდს. აღნიშნული პრობლემები ხშირად გადაუჭრელია ფერმის დონეზე, რადგან ამ დონეზე არის ცოდნის ნაკლებობა, არასაკმარისია ტექნოლოგიური აღჭურვილობის გაუმჯობესებისათვის საჭირო შემოსავლები და ნახევრად-თვითმკმარ ფერმერულ მეურნეობებს აქვთ არაადეკვატური საწარმოო სიმძლავრეები. სექტორის წარმომადგენელთა უმეტესობა

თელის, რომ მხოლოდ დღგ-ისგან გათავისუფლება ვერ განავითარებს საქართველოში ნედლი რძის წარმოებასა და ზოგადად მერძეულობის სექტორს.

7 დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევამ შეაფასა ადგილობრივი რძის და მისგან წარმოებული რძის პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლების პოტენციური ეფექტები. აგრეთვე, კვლევამ შეაფასა გავლენა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებზე, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილ 13-ში.

ცხრილი 13: დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებზე მოსალოდნელი გავლენის შეფასება

დაინტერესებული მხარე	ზეგავლენა
სახელმწიფო ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი სექტორის დღგ-ისგან გათავისუფლებით და, აგრეთვე, იმპორტირებულ რძის ფხვნილსა და რძის ნაღებზე გადახდილი დღგ-ის მოცულობის კლების გამო დაზარალდება
ნედლი რძის მწარმოებელი ფერმერები	ნედლი რძის მწარმოებელი ფერმერები იხეირებენ ნედლ რძეზე გაზრდილი ფასების გამო
რძის პროდუქტების მწარმოებლები	რძის პროდუქტების მწარმოებლები იხეირებენ დღგ-ისგან გათავისუფლების გამო
რძის პროდუქტების მომხმარებლები	მომხმარებლები იხეირებენ რძის პროდუქტებზე შემცირებული ფასების გამო
ყველის მწარმოებლები (და ყველის მომხმარებლები)	ყველის მწარმოებლები (და მომხმარებლები) დაზარალდებიან ნედლი რძის გაზრდილი ფასების გამო

რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგების გაერთიანებით, კანონპროექტთან დაკავშირებით ვლინდება რიგი დამატებითი საკითხები:

ფისკალური ეფექტები – შეფასებების მიხედვით, დღგ-ისგან გათავისუფლებით სახელმწიფო ბიუჯეტი 2018 წელს დაკარგავდა დაახლოებით 9.5 მლნ ლარის ოდენობის შემოსავლებს რაც იმავე წლის დღგ-ის მთლიანი შემოსავლების (4.427 მლრდ ლარი) 0.21%-ს, ანუ მთლიანი საგადასახადო შემოსავლების (9.696 მლრდ ლარი) 0.10%-ს უდრიდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერების, რძის პროდუქტების მწარმოებლებისა და მომხმარებლების მიერ მიღებული ჯამური სარგებელი დააკომპენსირებდა სახელმწიფო ბიუჯეტის დანაკარგებს. თუმცა, ყველის მწარმოებელთა მდგომარეობა გაუარესდებოდა, რადგან ნედლი რძის ფასი გაიზრდებოდა, რაც პოტენციურად ყველის მომხმარებლებზეც უარყოფითად იმოქმედებდა.

საკანონმდებლო ცვლილების აღსრულება - იმის მიუხედავად, რომ სექტორის დღგ-ისგან გათავისუფლების გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე მცირეა, კანონპროექტის აღსრულების ადმინისტრაციული ხარჯი საკმაოდ მაღალი შეიძლება აღმოჩნდეს. საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილების მიხედვით, დღგ-ისგან თავისუფლება რძის მხოლოდ ის პროდუქტები, რომლებიც 100%-ით ნედლი რძისგან იქნება დამზადებული, მაგრამ, სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, ნედლი და ადღგენილი რძის ერთად შერევის პირობებში, ტექნიკურად პრაქტიკულად შეუძლებელია დადგინდეს, რა პროპორციით იყო ნედლი რძე გამოყენებული პროდუქტის წარმოების პროცესში (რძის გადამამუშავებელთა მტკიცებით, რძის პროდუქტების საწარმოებლად საჭიროა იმპორტირებული რძის ფხვნილისა და, ცხიმინაობის ნორმალიზებისთვის, კარაქის გამოყენება).

სარგებლის განაწილება - ფერმერების ვარაუდით, დღგ-ისგან გათავისუფლება არ გაზრდის ნედლი რძის ფასებს და, შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებით მხოლოდ რძის გადამამუშავებლები იხეირებენ; მეორე მხრივ, რძის გადამამუშავებლები ფერმერების მხრიდან ნედლ რძეზე ფასების გაზრდას ელიან. გამოთვლებმა აჩვენა, რომ ნედლი რძის მიწოდება არაელასტიკურია (0.16), რაც რძის ფასების ზრდის საპასუხოდ ნედლი რძის მიწოდების რაოდენობის მცირედით ზრდას გულისხმობს. ფერმერებს არ შეუძლიათ მოკლე ვადაშივე გაზარდონ ნედლი რძის წარმოება – წარმოების გასაზრდელად საჭიროა დამატებითი რაოდენობის მეწველი ძროხების შეძენა, ან უკვე ხელთარსებული მეწველი საქონლის მწარმოებლურობის ამაღლება, რაც საწარმოო (და ბიოლოგიურ) აქტივებში გრძელვადიანი ინვესტირების გარეშე შეუძლებელია.

ადგილობრივი წარმოების ნედლი რძის მაღალი ფასი – დღესდღეობით, ბაზარზე გვხვდება ორი სხვადასხვა ტიპის ნედლი რძე: 1) ექსტენსიური ფერმების მიერ წარმოებული რძე (ჯამური წარმოების 96%) და 2) ინტენსიურ ფერმებში წარმოებული რძე (ჯამური წარმოების 4%). იმის მიუხედავად, რომ ექსტენსიური ფერმების წარმოებული ნედლი რძის ფასი შედარებით ნაკლებია (0.90 ლარი/ლ), რძის გადამამუშავებელთა მიხედვით, რძის ხარისხი იმდენად მცირეა, რომ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მეორე მხრივ, ინტენსიურ ფერმებში წარმოებული რძის ხარისხი მაღალია და ნაწარმიც, შესაბამისად, უფრო ძვირია (1.35 ლარი/ლ – უფრო მაღალი ვიდრე ევროკავშირში). გამოთვლების მიხედვით, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ნედლი რძის ფასები 6.7%-ით აიწევს, ხოლო დღგ-ისგან გათავისუფლებიან რძის პროდუქტების მხოლოდ ის მწარმოებლები, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი წარმოების ნედლ რძეს გამოიყენებენ წარმოების პროცესში. შესაბამისად, რძის პროდუქციის წარმოება გაუძვირდებათ რძის იმ გადამამუშავებლებს, რომლებიც საწარმოო პროცესში იყენებენ ნედლ რძესაც და ადღგენილსაც. აღსანიშნავია, რომ ყველი მხოლოდ და მხოლოდ ნედლი რძისგან შეიძლება დამზადდეს და მისი წარმოება უკვე გათავისუფლებულია დღგ-ისგან. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილება ამ უკანასკნელთ დააზარალებს – ყველის მწარმოებლებს მოუწევთ ნედლი რძეში მაღალი ფასის გადახდა. გაზრდილ ხარჯებს მოჰყვება ყველის გაძვირება, რაც უარყოფითად იმოქმედებს მომხმარებლებზე: ყველის მოხმარებაზე გაწეული დანახარჯები რძესა და რძის პროდუქტებზე გაწეული ჯამური ხარჯების თითქმის 60%-ს შეადგენს.

კანონპროექტის მთავარი მიზანია მერძეულობის სექტორის გაძლიერება და, ადგილობრივი წარმოების ნედლი რძისგან მიღებული რძისა და რძემჟავა პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლების გზით, ქვეყანაში რძისა და რძის პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა. კანონპროექტი ძირითადად იმ ლოგიკაზეა დაფუძნებული, რომ დღგ-ისგან გათავისუფლება

გაზრდის მოთხოვნას ადგილობრივი წარმოების ნედლეულ რაოდენობაზე, რაც გაზრდის ასეთი რაოდენობის ფასს მოკლე ვადაში. გრძელვადიან პერიოდში, ადგილობრივი წარმოების ნედლეულ რაოდენობაზე გაზრდილი ფასები წაახალისებს ფერმერებს გაზარდონ წარმოება, მოახდინონ საწარმოო პროცესების ინდუსტრიალიზაცია, აამაღლონ ნაწარმის ხარისხი და, ოპტიმისტური გათვლებით, მიაღწიონ მასშტაბის ეკონომიას.

აღსანიშნავია, რომ მერძევეობის სექტორის მთავარი პრობლემა არის არა ნედლი რძის ფასი, არამედ ამ რძის ხარისხი, და საქონლის დაბალი პროდუქტიულობა, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ნედლეულის მაღალ ფასთან, პირუტყვის არასათანადო კვებასთან, მერძეული ძროხების დაბალ ნაყოფიერებასთან, საქონლის დაბალ გენეტიკურ პოტენციალთან, საქონლის რეპროდუქციის არაეფექტიან მენეჯმენტთან და ძროხების ლაქტაციის მოკლე პერიოდთან. სექტორის წარმომადგენელთა უმეტესობა თვლის, რომ მხოლოდ და მხოლოდ დღგ-ით დაბეგვრისგან გათავისუფლება საქართველოში ნედლი რძის წარმოებას და მერძევეობის სექტორს ვერ დაეხმარება. დღგ არ არის ფერმერების, ან რძის პროდუქტების მწარმოებელთა სუბსიდირებისთვის იდეალური ინსტრუმენტი, დღგ უფრო წარმოადგენს გადასახადს შინამეურნეობების მოხმარებაზე. კანონპროექტთან და მის აღსრულებასთან დაკავშირებით არსებული მნიშვნელოვანი გაურკვევლობების გათვალისწინებით, შეიძლება არსებობდეს ქვეყანაში რძის წარმოების ხელშეწყობის უკეთესი ხერხ(ებ)ი. მაგალითად, დღგ-ით მიღებული შემოსავლებით შეიძლება ცენტრალურ ბიუჯეტში შეიქმნას სპეციალური ფონდი (იხ. უკრაინის ზემოთგანხილული მაგალითი), რომლის დახმარებითაც სახელმწიფოს შეუძლია დააფინანსოს და განახორციელოს სხვა, რძის ადგილობრივი წარმოების გაძლიერება-განვითარებაზე მიმართული უფრო ეფექტიანი მხარდაჭერის ღონისძიებები.

8 ბიბლიოგრაფია

ევროკომისია (2008). დღგ-ის ურთიერთგანსხვავებული განაკვეთების გამოყენება მოხმარების ცვლილებისა და ინოვაციისთვის. გარემოს კვლევითი ინსტიტუტი;

Georgian Dairy (2017). რძის ინდუსტრიული წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები და სარძეო ფერმის ეფექტური მართვა საქართველოში. დაფინანსებულია FAO-ს, EBRD-ის and ABM-ის მიერ;

IFAD (2018). საქართველო. რძის სექტორის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA). პროექტის საბოლოო დიზაინის ანგარიში;

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი (2019). საქართველოში რძის პროდუქტების ბაზრის სისტემის ანალიზი და მეპინგი. დამკვეთი აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (სურსათი და პროგრესი 2018) და Land O'Lakes Venture 37 პროექტი ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში - საქართველო (SQIL) ფარგლებში.

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი (2016). მეცხოველეობის ფერმა-საწარმოს მოდელები კახეთის რეგიონში. არსებული მდგომარეობა და პოტენციური ვარიანტები ზომის და კონკურენტუნარიანობის (ხელახალი) გაზრდისათვის. დამკვეთი შვეიცარიული თანამშრომლობის წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიის (SCO) და HEKS-EPER პროექტ MOLI კახეთის ფარგლებში.

ოლეკსანდრა ბიტლაი (2014). დღგ სოფლის მეურნეობაში: უკრაინის გამოცდილება და მტკიცებულებები საერთაშორისო ასპარეზზე. აგრარული პოლიტიკის ანგარიში. კიევი, უკრაინა.

რაიბული ა. (2018). დაბეგვრა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ევროკავშირი.

სიიბრენ კნოსენი (2017). დღგ და სოფლის მეურნეობა: ევროპული გაკვეთილები, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ბიურო ნიდერლანდებში. ჰააგა, ნიდერლანდები.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის აგრარული სერვისები უცხო ქვეყნებში (2016). რუმინეთის რძის პროდუქტების წლიური. GAIN ანგარიშის ნომერი: RO1621

წყაროები ინტერნეტში:

1. [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;](#)
2. [საქართველოს ეროვნული ბანკი;](#)
3. [საქართველოს მერძეეობის ასოციაცია;](#)
4. [ISSET Economist Blog: ჩვენ რეგულაციები არ გვჭირდება: საქართველოს რძის პროდუქტებისა და მეცხოველეობის სექტორების შესახებ;](#)
5. [Global SPC;](#)
6. [International VAT and GST rates for 2019;](#)
7. [Worldwide Tax Summaries;](#)
8. [Trade Map](#)

9 დანართი

დანართი 1. დარგის წარმომადგენლები, რომლებთანაც ჩატარდა ინტერვიუ

#	სახელი და გვარი	ორგანიზაცია	თანამდებობა	ადგილი / ინტერვიუს ტიპი
1	მერაბ ჩხარტიშვილი	საქართველოს მერძეულობის ასოციაცია	აღმასრულებელი დირექტორი	თბილისი / პირისპირ
2	კახაბერ კონიაშვილი	ასოციაცია საქრძე	აღმასრულებელი დირექტორი	თბილისი / პირისპირ
3	ზურა მასურაშვილი	მერძევე ფერმერი	ფერმის მეპატრონე	დედოფლისწყარო / სატელეფონო
4	გიორგი ასლანიკაშვილი	„მარტყოფის ბაგა“	ინდუსტრიული ფერმის მენეჯერი	თბილისი / პირისპირ
5	გიორგი ხანიშვილი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მინისტრის პირველი მოადგილე	თბილისი / პირისპირ
6	გია მიქაძე	სურსათის ეროვნული სააგენტო	სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის	თბილისი / პირისპირ
7	ერეკლე გამყრელიძე	„სანტე“	გენერალური დირექტორი	თბილისი / პირისპირ
8	ლევან ცირეკიძე	„სოფლის ნობათი“	ფინანსური მენეჯერი	თბილისი / პირისპირ
9	მამუკა ბარათაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი	თბილისი / პირისპირ
10	გიორგი კანდელაკი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	დეპარტამენტის უფროსი	თბილისი / პირისპირ
11	ნიკა ჯაფარიძე	საქართველოს მერძეულობის ასოციაცია	საბაზრო ფასების ანალიტიკოსი	თბილისი / პირისპირ
12	ზურაბ ცეციტიშვილი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	რძის პროდუქტების ექსპერტი	თბილისი / პირისპირ

დანართი 2: მონაცემები რძის ფასების შესახებ

	EU: რძის ფასი ფერმის კარზე	საქართველო: რძის ფასი ფერმის კარზე	საქართველო: რძის ფასი ინდუსტრიული ფერმის კარზე	აღდგენილი რძის ფასი (ცხოველური ცხიმით, 3.5%)	აღდგენილი რძის ფასი (მცენარეული ცხიმით, 3.5%)	იმპორტირებული რძის ფხვნილის საშუალო ფასი	იმპორტირებული რძის ნაღებისა და კარაქის საშუალო ფასი	იმპორტირებული მცენარეული ცხიმებისა და ზეთების საშუალო ფასი	საშუალო გაცვლითი კურსი	
ერთ.	ლ / ლ	ლ / ლ	ლ / ლ	ლ / ლ	ლ / ლ	\$ / კგ	\$ / კგ	\$ / კგ	\$ / ლ	€/ ლ
2016 q1	0.78	0.96	1.00	0.77	0.53	0.17	3.42	1.35	2.44	2.69
2016 q2	0.66	0.63	1.00	0.66	0.46	0.16	3.27	1.30	2.21	2.50
2016 q3	0.69	0.65	1.00	0.76	0.53	0.18	3.54	1.40	2.32	2.59
2016 q4	0.85	0.98	1.00	0.93	0.64	0.21	3.87	1.41	2.50	2.69
2017 q1	0.92	0.97	1.20	1.00	0.68	0.21	4.06	1.38	2.60	2.77
2017 q2	0.88	0.73	1.20	1.08	0.59	0.19	5.95	1.38	2.42	2.66
2017 q3	1.01	0.81	1.20	0.97	0.61	0.20	4.64	1.42	2.42	2.84
2017 q4	1.15	1.05	1.20	1.10	0.67	0.21	5.11	1.47	2.59	3.05
2018 q1	1.05	1.04	1.28	1.02	0.62	0.19	5.09	1.57	2.48	3.05
2018 q2	0.94	0.71	1.28	0.97	0.57	0.18	5.03	1.42	2.45	2.92
2018 q3	0.99	0.81	1.28	0.95	0.58	0.17	4.71	1.54	2.53	2.94
2018 q4	1.09	1.02	1.28	1.03	0.63	0.18	4.71	1.40	2.68	3.05
2019 q1	1.05	1.08	1.35	1.07	0.67	0.20	4.74	1.39	2.67	3.03
2019 q2	1.04	0.76	1.35	1.16	0.71	0.21	5.00	1.29	2.74	3.08
2019 q3	1.09	0.91	1.35	1.29	0.81	0.24	4.77	1.11	2.90	3.24

წყარო: ავტორების გამოთვლები, რომლებიც ეყრდნობა შემდეგი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას: ინტერვიუები (რძის ფასები ინდუსტრიალიზებული ფერმის კარზე), Georgian Dairy (რძის ფასები ფერმის კარზე), Trademap (რძის ფხვნილის, კარაქისა და მცენარეული ცხიმებისა და ზეთების იმპორტი), სებ (ვალუტის გაცვლითი კურსები).

დანართი 3. შეფასების სტრატეგია დეტალებში

პროგრამულ უზრუნველყოფა STATA-ში შეფასდა შემდეგი განტოლებები:

მოთხოვნის საფასო ელასტიკურობა რძის პროდუქტებზე (1)

$$\log(Q_{ddairy}) = \alpha_0 + \alpha_1 \log(P_{dairy}) + \alpha_2 \sin + \alpha_3 \cos + \alpha_4 \sin_{cl} + \alpha_5 \cos_{cl} + \alpha_6 trend$$

მიწოდების საფასო ელასტიკურობა რძის პროდუქტებზე (2)

$$\log(Q_{sdairy}) = \beta_0 + \beta_1 \log(P_{dairy}) + \beta_2 quarter1 + \beta_3 quarter2 + \beta_4 quarter3$$

სადაც:

Q_{ddairy} – რძის მოთხოვნილი პროდუქტების რაოდენობა;

Q_{sdairy} – რძის მიწოდებული პროდუქტების რაოდენობა;

P_{dairy} – რძის პროდუქტების საშუალო ფასი;

quarter1, quarter2, quarter3 – შესაბამისად, I, II და III კვარტლების აღმნიშვნელი მდარე (ფიქტიური) ცვლადები;

trend – ტრენდი;

α_1 – რძის პროდუქტებზე მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი

β_1 – რძის პროდუქტების მიწოდების ელასტიკურობის კოეფიციენტი

$\sin$ და $\cos$ – სეზონურობის აღმნიშვნელი ფუნქციები

$\sin_{cl}$ და $\cos_{cl}$ – სეზონური ციკლების ფუნქციები

მოთხოვნის ელასტიკურობა ნედლ რძეზე (განტოლება 3)

$$\log(Q_{dmilk}) = \gamma_0 + \gamma_1 \log(Q_{ddairy}) + \gamma_2 \log(P_{dairy}) + \gamma_3 \log(P_{milk}) + \gamma_4 trend + \gamma_5 trend^2 + \gamma_6 d_1 + \gamma_7 d_2$$

მიწოდების ელასტიკურობა ნედლ რძეზე (განტოლება 4)

$$\log(Q_{smilk}) = \mu_0 + \mu_1 \log(P_{milk}) + \mu_2 \sin + \mu_3 \cos + \mu_4 \sin_{cl} + \mu_5 \cos_{cl} + \mu_6 trend$$

სადაც:

Q_{dmilk} – ნედლი რძის მოთხოვნილი რაოდენობა;

Q_{smilk} – ნედლი რძის მიწოდებული რაოდენობა;

Q_{ddairy} – რძის მოთხოვნილი პროდუქტების რაოდენობა;

P_{dairy} – რძის პროდუქტების ფასები;

P_{milk} – ნედლი რძის ფასი;

trend – დროითი ტრენდი;

γ_3 – ნედლ რძეზე მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი

μ_1 – ნედლი რძის მიწოდების ელასტიკურობის კოეფიციენტი

d_1 და d_2 – dummy variables for influential observations (outliers)

$\sin$ და $\cos$ – სეზონურობის აღმნიშვნელი ფუნქციები

$\sin_{cl}$ და $\cos_{cl}$ – სეზონური ციკლების აღმნიშვნელი ფუნქციები

ზემოთ მოცემული ანალიზის შედეგად მიღებული ელასტიკურობის კოეფიციენტების გამოყენებით, გამოთვლილია მოთხოვნისა და მიწოდების რაოდენობის ცვლილებები. ფასის P_0 -დან P_1 -მდე ცვლილების შესაბამისად რაოდენობის Q_0 -დან Q_1 -მდე ცვლილება გამოთვლილია ელასტიკურობის კოეფიციენტების შემდეგ ფორმულაში გამოყენებით (5):

$$\frac{Q_1 - Q_0}{Q_0} = \frac{P_1^{\hat{\epsilon}} - P_0^{\hat{\epsilon}}}{P_0^{\hat{\epsilon}}} \quad (5)$$

სადაც:

Q_1 – საბოლოო (ახალი) რაოდენობა;

Q_0 – საწყისი (ძველი) რაოდენობა;

P_1 – საბოლოო (ახალი) ფასი;

P_0 – საწყისი (ძველი) ფასი;

$\hat{\epsilon}$ – ელასტიკურობის კოეფიციენტი.

ცხრილი A1. რძის პროდუქტების მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობები (განტოლება 1 და 2 ლოგარითმებში)

დამოუკიდებელი ცვლადები	დამოუკიდებელი ცვლადი – მოთხოვნა რძის პროდუქტებზე	დამოუკიდებელი ცვლადი – რძის პროდუქტების მიწოდება
რძის პროდუქტების ფასი	-0.297 (0.191)	0.694** (0.275)
sin	0.066*** (0.014)	-
cos	-0.032** (0.015)	-
sin_cl	0.025* (0.013)	-
cos_cl	0.017 (0.013)	-
ტრენდი	0.005*** (0.001)	-
quarter 1	-	-0.036 (0.041)
quarter 2	-	0.098** (0.047)
quarter 3	-	-0.022 (0.625)
თავისუფალი წევრი (კონსტანტა)	2.804*** (0.239)	1.634*** (0.364)
R ² (დეტერმინაციის კოეფიციენტი)	0.68	0.27
N (დაკვირვების რაოდენობა)	40	40
შენიშვნა: *** აღნიშნავს კოეფიციენტის მნიშვნელოვნებას მნიშვნელოვნების 1% დონეზე ** აღნიშნავს კოეფიციენტის მნიშვნელოვნებას მნიშვნელოვნების 5% დონეზე * აღნიშნავს კოეფიციენტის მნიშვნელოვნებას მნიშვნელოვნების 10% დონეზე პირველ ხაზში მოცემულია კოეფიციენტი, ხოლო მის ქვემოთ ფრჩხილებში მიწერილია ამ კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომის სიდიდე		

ცხრილი A2. ნედლი რძის მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობები (განტოლება 3 და 4 ლოგარიტმებში)

დამოუკიდებელი ცვლადები	დამოუკიდებელი ცვლადი – მოთხოვნა ნედლ რძეზე	დამოუკიდებელი ცვლადი – ნედლი რძის მიწოდება
მოთხოვნა რძის პროდუქტებზე	0.304*** (0.098)	-
რძის პროდუქტების ფასები	0.092 (0.170)	-
ნედლი რძის ფასი	-0.064 (0.040)	0.155* (0.086)
ტრენდი	0.006 (0.003)	-0.001 (0.001)
აკვადრატებული ტრენდი	-0.0001** (0.00007)	-
d1	0.140** (0.052)	-
d2	-0.095* (0.048)	-
sin	-	-0.285*** (0.020)
cos	-	-0.406*** (0.025)
sin_cl	-	-0.026 (0.019)
cos_cl	-	0.017 (0.018)
თავისუფალი წევრი (კონსტანტა)	4.099*** (0.355)	4.970*** (0.030)
R ² (დეტერმინაციის კოეფიციენტი)	0.55	0.96
N (დაკვირვების რაოდენობა)	40	40
შენიშვნა: *** აღნიშნავს კოეფიციენტის მნიშვნელოვნებას მნიშვნელოვნების 1% დონეზე ** აღნიშნავს კოეფიციენტის მნიშვნელოვნებას მნიშვნელოვნების 5% დონეზე * აღნიშნავს კოეფიციენტის მნიშვნელოვნებას მნიშვნელოვნების 10% დონეზე პირველ ხაზში მოცემულია კოეფიციენტი, ხოლო მის ქვემოთ ფრჩხილებში მიწერილია ამ კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომის სიდიდე		